საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეჩი სიტყვაა, ტყეიღებით და ჭიჩებით ბეჩთის გაცანა ყველა უკარჩისობაზე უსამაგღესია.

ხუთშაბათი, 1 მარტი. 2018 წ. №43 (8444), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქრთამზე გაცვლილი „ოცნება“

1. რა უნდოდა გაქნილ მექრთამე თემურ გორგაძეს თბილისის საკრებულოში?!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ გორგაძე დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ გორგაძემ საქართველოს მოქალაქეს, მისი ნათესავის შეწყალების კომისიის მეშვეობით პატიმრობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა 7000 ამერიკული დოლარი. 2018 წლის 28 თებერვალს, თემურ გორგაძემ, ხსენებულ მოქალაქეს წინასწარ გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნახევარი – 3500 ამერიკული დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 დან 11 წლამდე ვადით.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, – ნათქვამია განცხადებაში.

2. ბორჯომის საკრებულოს ახალი ცოცხი თუ უშველის!

საშინარო მოხელეებისთვის გაზრდილი ხელფასების საკითხის დამტკიცება ბორჯომის საკრებულოში ჩავარდა. 26 დეპუტატიდან საკითხის დამტკიცებას მხარი მხოლოდ „ქართული ოცნების“ 11-მა დეპუტატმა დაუჭირა. 15-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა კი აღნიშნულ საკითხს მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო, ხელფასების საკითხი ჩავარდა, რამაც ხმაური (ეს უკვე მერამდენედ!) გამოიწვია.

„ქართული ოცნება“ ბორჯომის საკრებულოში უმცირესობაშია და 13 დეპუტატით არის წარმოდგენილი. ისინი სხდომებს არ ესწრებოდნენ. ბორჯომის საკრებულოს ბოლო ოთხი სხდომა, კვორუმის არარსებობის გამო ვერ ჩატარდა. იმ მიზეზით, რომ საკრებულოში ხელფასების რეგულირების საკითხი და საშტატო ნუსხა არ დამტკიცებულა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში ხელფასების დარიცხვა ვერ ხერხდება.

„ლეიბორისტული პარტიის“ წევრი სცემეს!

ბორჯომის საკრებულოში მომხდარი ჩხუბის დროს „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გიგუაშვილი სცემეს. ის ამ დროისათვის პოლიციაში დაკითხვაზე გადაიყვანეს. გიგუაშვილმა დაპირისპირების შესახებ „ფეისბუქის“ საშუალებით თავად გაავრცელა ინფორმაცია. დაპირისპირება კი ბორჯომის საკრებულოს სხდომის შემდეგ დაიწყო და ჩხუბში გადაიზარდა. ბორჯომის საკრებულოს სხდომაზე ბორჯომის მერიის ხელფასების საკითხი და საშტატო ნუსხა დღეს ისევ ვერ დამტკიცდა!..

დაშავებული 6 მოზარდიდან ერთ-ერთი გარდაიცვალა

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე „საქენერგოს“ შენობიდან შუშის ჩამოვარდნის შედეგად დაშავებული 6 მოზარდიდან ერთ-ერთი გუშინ გარდაიცვალა. ის ინგოროყვანას კლინიკაში იმყოფებოდა, თუმცა მას ოპერაცია, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ ჩაუტარდა.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საჭიროების შემთხვევაში დაშავებულ მოსწავლეებს საზღვარგარეთ გადაიყვანენ

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობიდან შუშის ჩამოვარდნასთან დაკავშირებით, გიორგი კვირიკაშვილის დავალების შესაბამისად, ყველა შესაბამისი უწყება მზად არის, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს დაშავებული ბავშვების საზღვარგარეთ გადაყვანა, – ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაციას არასრულწლოვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ზურაბ ბაქრაძე აეროპორტში დააკავეს

ამირან (ბუტა) რობაძიძის საქმეზე ბრალდებული, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა (ზურაბ) ბაქრაძე, რომელიც ამ დრომდე მიმალვაში იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, აეროპორტში დააკავეს. ამ აქტის შესახებ განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროში რამდენიმე წუთის წინ გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.



ბაქრაძე, რომელიც წლებია, მიმალვაში იმყოფება, საქართველოში ჩვენების მისაცემად რამდენიმე საათის წინ დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ზაზა (ზურაბ) ბაქრაძემ რამდენიმე კვირის წინ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის თემაში“ რობაქიძის საქმეზე მისთვის წარდგენილი ბრალი აღიარა და საქმის გაყალბების დეტალებზე ისაუბრა.

თბილისის გენგეგმა: მეცნიერული ნაშრომი თუ თეატრალური ბუტაფორია?!

5

7

იოსებ ჭუმბურიძე:

დაეტყო ! ანუ როცა რეჟისორი თეატრს იცვლის...

ახალი სახელწოდება საქართველოს რუკაზე

თავისი დიდი წარსულისთვის ჩვენს საზღვაო კარიბჭეს დავუმკვიდროთ სახელი „ფოთი-ფაზისი“



6



საქართველოს პარლამეტის დელეგაცია ანკარაში შეხვედრებს მართავს

საქართველოს პარლამეტის დელეგაცია თურქეთის პრემიერ-მინისტრს ბინალი ილდირიმს შეხვდა. ანკარაში საპარლამენტო დელეგაცია სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით იმყოფება, რომლის შემადგენლობაში ნინო გოგუაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და რამაზ ნიკოლაიშვილი არიან.

თურქეთის პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე, რომელიც სამმხრივი საპარლამენტო ფორმატის ფარგლებში შედგა, სოფიო ქაცარავამ მადლობა გადაუხადა ბინალი ილდირიმს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საერთო პრიორიტეტებზე და მიზნებზე, რაც პირველ რიგში, ქვეყნებს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას მოიაზრებს. სოფიო ქაცარავამ რეგიონული უსაფრთხოების მნიშვნელობა აღნიშნა და სამეზობლო პოლიტიკის გაძლიერებაზე ისაუბრა. შეხვედრაზე მხარეებმა, ვაჭრობისა და ტრანსპორტის საშუალებით ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე ასევე, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობასა და ურთიერთობის ახალ პერსპექტივებზე ისაუბრეს.

პრეზიდენტი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს ხელს არ აწერს!

— ამის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა გასული წლის ბოლოს მიიღო ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ და „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. როგორც კანონმდებლობა ითვალისწინებს, კანონპროექტები ხელმოსაწერად გადმოეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტმა ეს კანონპროექტები მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნა. ამის შემდეგ, პარლამენტმა კანონმდებლობით დადგენილი წესით იმსჯელა მოტივირებულ შენიშვნებზე. მოტივირებული შენიშვნები არ იყო გაზიარებული. პარლამენტმა კვლავ უყარა კენჭი მიღებულ ცვლილებებს და კვლავ დაუჭირა მას მხარი. როგორც კონსტიტუცია ითვალისწინებს, ეს კანონპროექტები კვლავ გადმოიგზავნა პრეზიდენტთან. პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება — ის ხელს არ აწერს ამ კანონპროექტებს“, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

გავხსენით კიდევ ერთი საწარმო, რომლის პროდუქცია იმპორტის ჩანაცვლების კარგ შესაძლებლობას მოგვცემს

„დღეს ჩვენ კიდევ ერთი საწარმო გავხსენით, რომელიც მონაწილეობდა პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“. კომპანია „პოლიმერი 1“ აწარმოებს უმაღლესი ხარისხის პოლიეთილენის მილებს. საწარმოში 6,5 მლნ ლარზე მეტია ინვესტირებული. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ისარგებლა პროგრამის როგორც ფინანსური, ასევე ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით. ახალი საწარმოს ასაშენებლად ჩვენ 3,000 კვ.მ. ფართობი სახელმწიფო ქონება გადავეცით, სადაც ამჟამად თანამედროვე ტექნოლოგიური საწარმო ფუნქციონირებს,“

— განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა შპს „პოლიმერი 1“-ის ახალი საწარმოს ოფიციალურ გახსნაზე. მისი თქმით, აღნიშნული საწარმო კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმატებულად მუშაობს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ტატუნაშვილის დაღუპვას ეხმაურება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის განცხადებით ვაშინგტონი შეშფოთებულია რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის რეგიონში საქართველოს მოქალაქის დაღუპვის გამო. ჰიზერ ნოიერტის თქმით, შეერთებული შტატები ტრაგიკული ფაქტის ყველა გარემოების შესწავლას, ასევე ლევან ქუტაშვილისა და იოსებ პავლიაშვილის მიერ ადმინისტრაციული ხაზის გადაკვეთის უზრუნველყოფას მოითხოვს.

„აშშ ღრმად შეშფოთებულია რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთში საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილით. სამძიმარს ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰიზერ ნაუერტმა.

მუშაობს კაცი და რაღა მაქვს სათქმელი!

შს მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, არჩილ ტატუნაშვილების ოჯახმა შსს-სთვის მიცემული ვადა გადაწია — მოკლული სამხედროს ახლობლები მანამდე აცხადებდნენ, რომ თუ ოთხშაბათსაც ვერ მოხერხდებოდა ცხედრის გადმოსვენება, ისინი კვლავ გზას გადაკეტავდნენ.

„რა უნდა მეთქვა, მუშაობს კაცი და რაღა მაქვს სათქმელი. ეს კაცი მოდის, ყოველდღე ამოდის და გვაწვდის ინფორმაციას, მერე შევხედავთ, ხვალ არაფერს არ ვგეგმავთ“, — განაცხადა არჩილ ტატუნაშვილის მამამ. გიორგი გახარია გვიან საღამოს სოფელ წილკანში იმყოფებოდა, სადაც ტატუნაშვილების ოჯახს შეხვდა.

„ხანძარსაშიში“ უბანი: უბედურება №2

აშკარად „ხანძარსაშიში“ ბედ-იღბალი დაჰყვა სავაჭრო ცენტრებს თბილისის სარკინიგზო ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ჯერ იყო და ცეცხლმა „ბავშვთა სამყარო“ იმდენად დააზარალა, რომ ძველი შენობა ერთიანად მიწასთან გაასწორეს და მის ადგილას ახლა ახალს აშენებენ. სამი დღის წინათ კი ყოფილი „ბავშვთა სამყაროდან“ სულ ასიოდე მეტრში ცეცხლი გაუჩნდა სავაჭრო ცენტრ „ქალაქის გულს“, რომელიც ბაზრობის ტერიტორიაზეა განთავსებული.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ორსართულიან შენობას ხანძარი გვიან ღამით გაუჩნდა, მისი ჩაქრობა კი სამი ათეული სპეცდანიშნულების მანქანის განწესის მცდელობის შედეგია, — მეხანძრეები სტიქიას გამთენიამდე ებრძოდნენ.

ისევე, როგორც თავის დროზე „ბავშვთა სამყაროს“ შენობაში, სავაჭრო ცენტრ „ქალაქის გულშიც“ უამრავი პატარ-პატარა მაღაზია და უბრალო დახლი იყო მოწყობილი. განსხვავება კი ამ ორ უიღბლო ობიექტს შორის ისაა, რომ თუ „ბავშვთა სამყაროში“ თითქმის ყველა მოვაჭრე დაზარალდა, ცენტრ „ქალაქის გულში“ არენდატორთაგან ძალიან ბევრის საქონლის უმეტესი ნაწილი ან მთლიანად გადარჩა, ანდა ზარალი, სტიქიის მასშტაბთან შედარებით, მინიმალურია. ძირითადად გაფუჭდა ის საქონელი და სურსათი, რომელიც მაღაზიების მფლობელებს ზემოდან ეწყო, ხოლო დახლებში და მაცივრებში დასაწყობებული განადგურებისგან, ფაქტობივად, მთლიანად გადარჩა — ის არც ცეცხლს დაუზიანებია, არც წყალს, არც ხანძარსაწინააღმდეგო ქაფს.

— შიგნით ჯერჯერობით არ გვიშვებენ, რადგან გარკვეული საშიშროება არსებობს, — გვითხრა მოვაჭრე დ. ჭრელაშვილმა. — გადმოცემით ვიცი, რომ მთელი ჩემი საქონელი, რომელიც 200 ათასი ლარი ღირს, მადლობა ღმერთს, გადარჩენილია! ისე კი ხალხმა დიდი ზარალი ნახა, მაგრამ რა მდგომარეობაა კონკრეტულად, ჯერ არ ვიცით...

იმის გამო, რომ სავაჭრო ცენტრ „ქალაქის გულის“ ქვედა სართულიდან ხანძრის ჩაქრობაში გამოყენებული წყლის ნარჩენების ამოტუმბვის სამუშაოები მიმდინარეობდა, ზედა სართულის ჭერიდან ბათქაშის ჩამოცვენის საშიშროება არსებობს, იმ მოვაჭრეებს, რომელთა საქონელი განადგურება-გაფუჭებას გადაურჩა, შენობის რეაბილიტაციამდე ვაჭრობას ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე სთავაზობენ.

ლალი ხუნდაძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

თბილისის მერმა მეხანძრე-მაშველებს თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა

თბილისის მერმა კახა კალაძემ მეხანძრე-მაშველებს სავაჭრო ცენტრ „ქალაქის გულში“ გაჩენილი ხანძრის დროს თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მან დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ხანძრის შედეგად, როგორც მოიჯარეები, ისე სავაჭრო ფართობების მფლობელები დაზარალდნენ.

„პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო მეხანძრე-მაშველებს დროული რეაგირებისთვის და თავდაუზოგავი შრომისთვის. მართლაც ძალიან დიდი სამუშაო გაწიეს. მოგეხსენებათ, დაზარალებულია ორივე მხარე, როგორც მოიჯარეები, ისე სავაჭრო ობიექტების მფლობელები. სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციამ გუშინვე დაიწყო შეხვედრები მოიჯარეებთან, რათა დეტალურად გაიარონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, თბილისის მერის თქმით, უახლოეს მომავალში, როდესაც ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობას დაასრულებენ, სავაჭრო ცენტრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყება, რათა ფუნქციონირება ჩვეულ რეჟიმში განაგრძოს.

„იქამდე კი, იმ ადამიანებს, რომელთა საქონელიც გადარჩა, სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაცია ალტერნატიულ ფართებს სთავაზობს, რათა დამწვარი ფართის აღდგენამდე თავიანთი საქმიანობა შეუფერხებლად განაგრძონ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ვითარებაში ორივე მხარემ შეძლოს თანამშრომლობა და სწორი კომუნიკაცია, რათა უარყოფითი შედეგები მინიმუმამდე დავიდეს“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

„თერგის“ ადვოკატს ეჭვები აქვს!

თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ცენტრ „თერგში“ ხანძრის გაჩენასთან დაკავშირებით ეჭვები აქვს კომპანია „ქალაქის გულის“ იურისტს. გიგა კვერენჩხილაძე ამბობს, რომ ამის მიუხედავად, მტკიცებულებების გარეშე ამ საკითხზე საუბარი არ შეუძლია.

„ვინაიდან იურისტი გახლავართ, მეტი მტკიცებულება მჭირდება, რომ რაიმე ეჭვებზე ვისაუბრო. აქედან გამომდინარე, თავს ვიკავებ და ველოდები გამოძიებას, თორემ რასაკვირველია, რაღაც ეჭვები მაქვს, მაგრამ არ მინდა, ასე საჯაროდ გამოვხატო,“ — ამბობს კვერენჩხილაძე.

მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების ჰუმანური განაჩენი

თბილისის განვითარების ფონდიდან 48 მილიონი ლარის გაფლანგვაში ბრალდებული 5 პირიდან სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ერთს, თბილისის განვითარების ფონდის ყოფილ ხელმძღვანელ გიორგი საბანაძეს შეუფარდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, საბანაძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. საბანაძეს სასჯელი დაუსწრებლად წარედგინა, ვინაიდან ის მიმალვაშია.

რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებულებს, მოსამართლემ ძველი თბილისის გამგებლის ყოფილი მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე საქმეზე უდანაშაულოდ ცნო, დანარჩენ ბრალდებულებს კი მუხლი გადაუკვალიფიცირდა. კერძოდ, თბილისის მერის ყოფილი მოადგილე დავით ალავიძე, მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსი ალექსანდრე თაბუაშვილი, ძველი თბილისის ყოფილი გამგებელი დავით ავალიანი მოსამართლემ დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ცნო. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ყველა ბრალდებულს 1 წლითა და 2 თვით პირობითი მსჯავრი დაედო. სასამართლომ დამნაშავედ ცნო თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავაც და მას 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილმა განაჩენმა შთანთქა დღეს გამოტანილი განაჩენი და შესაბამისად, სასჯელი უგულავას მოხდილად ჩაეთვლება.

არასამთავრობოები პროკურატურის უფლებებში ისევ უხეშად ერევიან!

არასამთავრობო ორგანიზაციები პროკურატურას მიმართავენ და მოუწოდებენ აუდიტის დასკვნის საფუძელზე, ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის ქონების გადაცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყოს.

არასამთავრობოების განცხადებით, თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ქალაქის ქონებას არაგონივრულად განკარგავდნენ, რაც შესაძლოა, BSR – CDG Development-თან გარკვეული კორუფციული გარიგებების შედეგებიც ყოფილიყო.

„ამ გარემოებებს კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ოთარ ფარცხალაძემ, სავარაუდოდ, სწორედ ამ ანგარიშზე მუშაობის გამო გასულ წელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ყოფილ გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას, რაზეც დღემდე არ დასრულებულა გამოძიება,“ – წერია განცხადებაში, რომელსაც ხელს 6 არასამთავრობო აწერს: **საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო; მედიის განვითარების ფონდი; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი; სამოქალაქო განვითარების საააგენტო; დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი; ადამიანის უფლებათა ცენტრი.**

მესამე სექტორის წარმომადგენლები პროკურატურას ასევე მოუწოდებენ საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია იმ გამოძიების შესახებ, რომელიც ყოფილ გენერალურ აუდიტორზე, ლაშა თორდიაზე მომხდარ თავდასხმას უკავშირდება.

დემაგოგი ოპოზიციონერის ყიყინი ჭაობიდან

„ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ვაშაძე ამბობს, რომ ქვეყანაში ოპოზიციური სპექტრი სამ ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი. მისი თქმით, დრო, თითოეულმა ოპოზიციონერმა გადაწყვიტოს რომელ მხარს დგას და რას უჭერს მხარს: **„ეს არის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც შეგუებულნი არიან არსებულ სიტუაციას და ამ ჭაობში მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობენ და, ფაქტობრივად, არიან ხელისუფლების სატელიტები. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დამკვირვებლის როლში და ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ არსებული სიტუაციის შენარჩუნებას და მესამე, პარტიები, რომლებიც არ ეგუებიან არსებულ ჭაობს, სჯერათ საქართველოს მომავლის, უნდათ სიახლე ქართულ პოლიტიკაში და მზად არიან, ყველაფერი გააკეთონ, რათა საქართველომ დაიწყოს განვითარების პერსპექტივა. დადგა დრო თითოეულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ, ლიდერმა ამ პოლიტიკური პარტიის, გადაწყვიტოს რომელ მხარეს დგანან,“** – განაცხადა ვაშაძემ.

სახელობითი პრემიები - თვალსაჩინო მეცნიერულ ნაშრომებს!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მოსაპოვებლად:

1. **ილია ვეკუას** სახელობის პრემია – მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში
2. **ალექსანდრე თვალჭრელიძის** სახელობის პრემია – საქართველოს მინერალური ნედლეულის, გეოლოგიისა და ტექნოლოგიის დარგში
3. **გიორგი ციციშვილის** სახელობის პრემია – ქიმიის დარგში
4. **პეტრე ქომეთიანის** სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში
5. **ივანე ჯავახიშვილის** სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დარგში
6. **ალექსანდრე ნათიშვილის** სახელობის პრემია – ადამიანის ანატომიის, მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში
7. **კორნელი კეკელიძის** სახელობის პრემია – ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაზღვრული პერიოდულობით ანიჭებს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიურ სახელობით პრემიებს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაშრომებს.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია. პრემია შეიძლება მიეცეს უცხოელ წევრსაც, თუ ის შედის ავტორთა ჯგუფის შემადგენლობაში.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატს წამოაყენებენ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარწერით: – – – – – – – – – – – სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად“ – უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერებისა თუ რომელიმე დარგის განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ);

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები (CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა);

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) წარმოდგენილ უნდა იქნეს საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიაც.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2018 წლის 31 მარტამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2 99-00-52.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ირაკლი ჟორდანია
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საინვესტიციო პროექტები - ახალი წყალტუბო, ახტალა, გოდერძი და სხვა...

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის (PPP) კანონი ჯერ შემუშავებული არ არის, თუმცა, სახელმწიფოს გარკვეული შეთავაზებები ბიზნესთან ახლაც აქვს. მაინც რა საინვესტიციო პროექტებს სთავაზობს სახელმწიფო ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს. მით უმეტეს, რაც გასული წლიდან გაუქმდა სპეციალური უწყება Invest in Georgia, რომელიც სწორედ ინვესტორების მოზიდვით იყო დაკავებული. ამ ეტაპზე უწყება სახელმწიფო სსიპ-თან „აწარმოე საქართველოსთან“ ერთად აგრძელებს მუშაობას. სპეციალური დეპარტამენტი რამდენიმე მიმართულებაზე მუშაობს, როგორიცაა წარმოება, ბიზნესსერვისების აუთსორსი, უძრავი ქონება, ასევე, სამინისტროების გაერთიანების შემდეგ „აწარმოე საქართველოში“ დეპარტამენტს ემატება წიაღისეულისა და ენერგეტიკის მიმართულება.

„გამოვყოფდი რამდენიმე კურორტს, მათ შორის არის წყალტუბო, რომლის ადგილმდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ქუთაისის აეროპორტთან ახლოსაა, მას აქვს ის უპირატესობა, რომ არის თერმული წყლები და გვაქვს რამდენიმე საინტერესო ობიექტი, სადაც შეგვიძლია ახალი პროექტების განხორციელება სასტუმროების მიმართულებით. ასევე არის ახტალა, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თავისი სამკურნალო თვისებებით, რომელიც უკვე მზად გვაქვს შესათავაზებლად და კურორტი გოდერძი. დამატებით ვმუშაობთ სხვა მიმართულებებზეც. ვამუშავებთ ახალ გეგმას, რომლის შემდეგაც გვექნება ახალი შეთავაზებები“, – აცხადებს „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების მოზიდვის დეპარტამენტის უფროსი ლიზა თავდუმაძე.

მისი თქმით, დეპარტამენტს აქვს სამიზნე ქვეყნები, წამყვანი კომპანიები, რომლებსაც მათი ინტერესებიდან გამომდინარე ესაუბრებიან. ლიზა თავდუმაძე ამბობს, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებთან.

სპეციალური შეთავაზებები აქვს ბიზნესთან თბილისის მერიასაც. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, დედაქალაქის მთავრობა კონკრეტულ პროექტებს კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში შესთავაზებს ბიზნესს თუ მხოლოდ კერძო სექტორს გადასცემს პროექტებს.

„იგეგმება რადიოქალაქის პროექტის კვლევა, რის შემდეგაც გადაწყდება საუკეთესო მოდელი რომელია – PPP თუ ბიზნესისთვის ამ პროექტის სრულად გადაცემა. ასევე, გვაქვს ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირებასთან დაკავშირებით პროექტი, რომელზეც ინტერესთა გამოხატვა უახლოეს დღეებში გამოცხადდება. ეკონომიკური სამსახური ასევე მუშაობს სინათლის ქალაქის პროექტზე, ამ ეტაპზე დგინდება ქუჩების განათების სტანდარტი, რის შემდეგაც მივიღებთ უკეთესად განათებულ ქუჩებს“, – აცხადებს თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენელი ვიქტორ წილოსანი. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში არ მოხვდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის შექმნაში ჯერ კიდევ დავით ნარმანიას მერობის დროს 207 ათასი დოლარი დაიხარჯა. დღეს მერიაში ამბობენ, რომ პროექტში შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს, ამიტომ ამ ეტაპისთვის მისი შეთავაზება ინვესტორებისთვის არ ხდება.

http://www.bm.ge

ქართულ-ჩინური პროექტი – „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რუსეთის და ირანს შეეჯიბრება

შოტლანდიელი ჟურნალისტი, გლაზგოს უნივერსიტეტის ევრაზიული კვლევების ცენტრის მკვლევარი ბრედლი ჟარდინი, გავლენიან ამერიკულ გამოცემა „EurasiaNet“-ში სტატიას აქვეყნებს, რომელიც „აბრეშუმის გზის“ პროექტს ეხება.

გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით.

„საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შემუშავდა შავი ზღვისპირა ჭაობიანი ადგილის ამოშრობისა და ამ ტერიტორიის ქალაქად გადაქცევის ამბიციური გეგმა, ჩინური კლასტერის მსგავსად – ცათამბჯენებით, სადაც ნახევარი მილიონი ადამიანი იცხოვრებდა. მაგრამ შემდეგ ლაზიკის – „მომავლის ქალაქის“ მშენებლობა მიატოვეს. დღეს ზღვის ნაპირზე, სადაც ლაზიკა უნდა გაშენებულიყო, ცხოვრება ისევ დუღს: ტერიტორია მოფენილია ბეტონის კონსტრუქციებით, რომლებიც ზვირთმჭრელების როლს შეასრულებს გემების ტალღებისაგან დაცვის მიზნით. ეს ღრმაწყლიანი ნავსადგურის – ანაკლიის ფუნდამენტი იქნება, რომელიც, თბილისის გათვლით, ჩინური მეგაპროექტის „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ საკვანძო ადგილი იქნება.

პროექტის ავტორების შეფასებით, ანაკლიის პორტი 2025 წლისთვის 110 მილიონ ტონა ტვირთს გადაამუშავებს და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) ნახევარ პროცენტს დაუმატებს. მშენებლობის დასრულების შემდეგ ანაკლიის ნავსადგური საქართველოში ყველაზე დიდი იქნება, ანუ ფოთს და ბათუმს უკან მოიტოვებს, ანაკლიის პორტში შესვლის შესაძლებლობა მსხვილ გემებსაც ექნებათ.

ანაკლიის შერჩევა ახალი ნავსადგურის ასაშენელად საქართველოს სხვა გეგმებსაც პასუხობს: დასახლება სეპარატისტული აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სულ რაღაც ორი კმ-ის მოშორებით მდებარეობს და ქართული სახელმწიფოს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს რეგიონის განვითარება-განმტკიცების მიზნით.

პორტის მშენებლობის წინ გამოცხადებული ტენდერის დროს (ორი მილიარდი დოლარის ღირებულებით) ჩინელმა ინვესტორებმა წარმატება ვერ მოიპოვეს, თუმცა იმედი იყო, რომ სწორედ ისინი გაიმარჯვებდნენ. საბოლოო ჯამში წარმატება ხვდა ქართულ-ამერიკულ კომპანიას Anaklia Development Consortium (ADC), რომელმაც საქართველოს მთავრობას ჩინელებთან შედარებით უფრო მომგებიანი პირობები შესთავაზა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით. ამის მიუხედავად, თბილისს მაინც მიაჩნია, რომ ანაკლია ჩინური მეგაპროექტის „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო ცენტრი გახდება, მით უმეტეს, რომ გასული წლის დეკემბერში ADC-მა ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩინურ კომპანია ZPMC-სთან 50 მილიონი დოლარის სამუშაოების შესრულების შესახებ.

დასავლეთის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია მიმზიდველი ალტერნატივაა „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ სხვა მარშრუტებთან შედარებით. რუსული მარშრუტის ინფრასტრუქტურა ძალიან ცუდია, არასტაბილური ხასიათი აქვს რუსული საკანონმდებლო გარემოსაც. გარდა ამისა, რუსეთს სავაჭრო ომი აქვს ევროკავშირთან. რაც შეეხება ირანულ მარშრუტს, დასავლეთის თვალში ირანი გარიყულ სახელმწიფოდ მიიჩნევა, თეირანს რთული ურთიერთობა აქვს თავის მეზობლებთან... ასე რომ, გეოპოლიტიკურად საქართველო უფრო მიმზიდველია, ვიდრე ირანი. მით უმეტეს, რომ თბილისს კარგი პოზიციები აქვს როგორც კორუფციის დონის რეიტინგებში, ასევე ბიზნესის იოლად წარმოებაში.

მაგრამ რამდენად არსებობს იმის გარანტია, რომ ანაკლია მართლაც გახდება ჩინური მეგაპროექტის ერთ-ერთი სატრანსპორტო ცენტრი? ჩინეთის პოზიციის მიხედვით, ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის ფაქტი სულაც არ ნიშნავს მისი წარმატების გარანტიას. არსებობს მაგალითები იმისა, რომ სხვა ქვეყნებში მსგავსი პროექტები უკვე შეჩერებულია ეკონომიკურ მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით. საქართველოს სასარგებლოდ პოზიტიურ როლს არ ასრულებს რეგიონის სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც პორტი დაშორებულია თავისუფალ სამრეწველო ზონებს.

თუმცა ეს ყველაფერი შეიძლება უახლოეს წლებში გამოსწორდეს: საქართველოს მთავრობამ უკვე შეიმუშავა საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტი (გამოყოფილია თანხა დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობით), რომლის რეალიზების შემდეგ ანაკლია უკეთ დაუკავშირდება ქვეყანაში მოქმედ ეკონომიკურ ზონებს. სხვათა შორის, იმავე ჩინელი ინვესტორების მხრიდან საქართველოში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს დიდი ყურადღება ეთმობა.

„EurasiaNet“ (აშშ)

საცობების პრობლემის მოგვარებას ჯარიმების დაწესებით აპირებენ

დედაქალაქში გზების განტვირთვისა და საცობების პრობლემის გადაჭრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები დაიგეგმა. აქ კი ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ახალი ჯარიმები წესდება, რომელიც საკმაოდ დიდია.

ავტობუსები და მიკროავტობუსები, რომლებიც 1 მარტიდან მხოლოდ გაჩერებებზე არ გაჩერდებიან, დაჯარიმდებიან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მხრიდან დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ ქუჩებზე დადგენილი გაჩერების წესის დარღვევაზე 100-ლარიანი ჯარიმა იქნება განსაზღვრული.



ამასთან, **აღსანიშნავია, რომ ავტობუსის გაჩერებებზე გაჩერების ან დგომის წესის დარღვევისას სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებიც დაჯარიმდება. კერძოდ, ამ დარღვევაზე 50-ლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული.**

თბილისში უკვე შეირჩა 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსებს მგზავრებისთვის მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე გაჩერება მოუწევთ: **მერაბ კოსტავას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, შოთა რუსთაველის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ხეივანი, დავით აღმაშენებლის გამზირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, ჟიული შარტავას ქუჩა, პეკინის ქუჩა, მარშალ გელოვანის გამზირი, ჯორჯ ბუშის ქუჩა და კახეთის გზატკეცილი.**

აღსანიშნავია, რომ ეს რეგულაცია მხოლოდ ყვითელ მიკროავტობუსებს შეეხება. ასევე მხოლოდ გაჩერებებზე მოუწევთ გაჩერება რუსთავიდან თბილისში მოძრავ სარეისო მიკროავტობუსებსაც, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით, 300-მდეა.

გარდა ამისა, თბილისის მერია, დედაქალაქში მოძრაობის განტვირთვისა და სისუფთავის დაცვის მიზნით, პირველი მარტიდან საპილოტე პროექტს იწყებს, რომელიც ვაკის პარკიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე და მის მიმდებარე ქუჩებზე, ნაგავშემკრები კონტეინერების ღამის საათებში დაცლას ითვალისწინებს.

საპილოტე პროექტის ფარგლებში, „თბილსერვის ჯგუფის“ ნაგავმზიდი ავტომანქანები ვაკის რაიონის 32 ქუჩაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებს 22:00 საათიდან გაიტანენ.

საპილოტე რეჟიმში **ერთვება ჭავჭავაძის გამზირი, აბაშიძის ქუჩა, ფალიაშვილის ქუჩა, ბერძენიშვილის ქუჩა, მუხაძის ქუჩა, კავსაძის ქუჩა, ბაზალეთის ქუჩა, ერისთავის ქუჩა, ნაფარეულის ქუჩა, ბარნოვის ქუჩა, არაყიშვილის ქუჩა, ტაბიძის ქუჩა, რადიანის ქუჩა, მცხეთის ქუჩა, შატბერაშვილის ქუჩა, ჯანაშვილის ქუჩა, ქუთათელაძის ქუჩა, ატენის ქუჩა, რაზმაძის ქუჩა, ელიავას ქუჩა, ცხვედაძის ქუჩა, მარუხის გმირების ქუჩა, ქობულეთის ქუჩა, ჩოლოყაშვილის ქუჩა, რამიშვილის ქუჩა, გაბაშვილის ქუჩა, ყიფშიძის ქუჩა, აბულაძის ქუჩა, მარაბდის ქუჩა, მოსეშვილის ქუჩა, დარიალის ქუჩა და კეკელიძის ქუჩა.**

ახალმა გრაფიკმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მოძრაობის განტვირთვა უნდა უზრუნველყოს. საცდელი გეგმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი, აღნიშნული მიდგომა მთელი ქალაქის მასშტაბით დაინერგება.

პარალელურად მიმდინარეობს სქემის შედგენა, რომ **სატვირთო ავტომობილებს დილისა და საღამოს „პიკის საათებში“ 2-2 საათით მოძრაობა აუკრძალონ.** შესაბამისი ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევა. კონკრეტულად რომელ საათებში დაწესდება ეს აკრძალვა, ამას დედაქალაქის თვითმმართველობა განსაზღვრავს. თბილისის მერიას კი მოუწევს იმის დადგენა, თუ დღის რა პერიოდში ექნება სადისტრიბუციო მანქანებს ქუჩებში მოძრაობის შესაძლებლობა. ჯერჯერობით ცნობილი ისაა, **რომ სატვირთო და სადისტრიბუციო მანქანების მხრიდან მოძრაობის წესის დარღვევაზე 100-ლარიანი ჯარიმა დაწესდება.**

ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობამ მილიონს უკვე დიდი ხანია, გადააჭარბა და მათი ნახევარი დედაქალაქშია თავმოყრილი. **საქართველოში ყველა მეორე ადამიანს, ანუ ზრდასრული მოსახლეობის 40%-ზე მეტს ჰყავს ავტომობილი.**

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ინფორმაციით, **ავტოპარკის 60,9%-ს მსუბუქი ავტომობილები შეადგენს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (90,9%) 2004 წლამდეა წარმოებული. არსებული მონაცემებით, ავტოპარკის 40% თბილისშია თავმოყრილი.**

ბექა დანელია

„ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ 250-კაციან ქორწილში სიგარეტის მოწევას“

ზუსტად ორ თვეში, 2018 წლის პირველი მაისიდან „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი ამოქმედდება. „კომერსანტი“ დაინტერესდა არიან თუ არა მზად რესტორატორები აღნიშნული სიახლისთვის და რა პრობლემას ხედავენ რეგულაციაში.

როგორც სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი **შალვა ალავერდაშვილი** განმარტავს, კვლავ აქტუალურია თავის დროზე დასმული შეკითხვა. კერძოდ, როგორ აპირებს მთავრობა ისეთი დიდი მასშტაბის ღონისძიების კონტროლს, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი ან კორპორატიული საღამო. მისი თქმით, ამ შემთხვევაში კონტროლი შეუძლებელი იქნება.

„შარშანაც ეს კითხვა მქონდა, ამიტომ შევთავაზეთ მთავრობას ალტერნატივა კანონი უფრო დეტალიზებული გაეხდა, მაგრამ არ მოგვისმინა. პატარა კაფეებსა და ბარებში კანონის გავრცელებას მივესალმები, მაგრამ ადგილობრივი ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რეგულაცია ისეთივე ფორმალური იქნება, როგორც ბევრი სხვა. ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ 250-კაციან ქორწილში სიგარეტის მოწევას,“ – აღნიშნავს ალავერდაშვილი.

შალვა ალავერდაშვილის პოზიციას იზიარებს კლუბ „ხიდის“ დამფუძნებელი **თამუნა აძსანდერი.** მისივე თქმით, ისეთი ობიექტი, როგორიცაა ღამის კლუბი, საიდანაც სიგარეტის მოსაწევად არ გადიან გარეთ და საერთო სივრცეა, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა, კონტროლი იქნება შეუძლებელი.

„კლუბში მომხმარებელი სიგარეტს სისტემატურად ეწევა. ვერ ვხედავ, ეს როგორ უნდა გაკონტროლდეს ჩვენს შემთხვევაში. წარმოუდგენლად მიმაჩნია. ამასთან, ჩვენ ხშირად გვასპონსორებენ სიგარეტის მწარმოებელი კომპანიები, რათა უცხოელი პოპულარული დიჯეი ჩამოვიყვანოთ. ამიტომ აღნიშნული კანონი ორმაგ პრობლემას გვიქმნის“, – აღნიშნავს თამუნა აქსანდერი.

მომხარებლის გაკონტროლება რომ რთული იქნება, ამ აზრს ეთანხმება რესტორან „მაჭახელას“ ქსელის მენეჯერი **გიორგი გოგოლაძეც.** მისი თქმით, რეგულაცია უარყოფითად აისახება მომხმარებელთა რაოდენობაზე.

„ზოგადად რეგულაცია მისასალმებელია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ძალიან ხშირად ეს ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. ქართული მენატალობის მქონე ნასვამი მომხმარებლისთვის რთული იქნება იმის ახსნა, რომ გარეთ უნდა მოწიოს. ამიტომ კანონში დეტალები უნდა გაიწეროს. ვფიქრობ, ზოგადად რეგულაცია ძალიან შეამცირებს მომხარებელთა რაოდენობასაც და ბიზნესზე უარყოფითად აისახება“, – განმარტავს გოგოლაძე.

2018 წლის პირველი მაისიდან თამბაქოს მოწევა (მათ შორის, ელექტროსიგარეტის) იკრძალება მთელ რიგ დაწესებულებებში. გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, მოწევა იკრძალება ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, რომელსაც აქვს იატაკი, სახურავი ან ჭერი და არანაკლებ 1/2-ზე აქვს ნებისმიერი სახის ან/და მასალის მოძრავი ან უძრავი კედლები, მათ შორის, ღია ან დახურული ფანჯარა და კარი.

წესების დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება დაჯარიმდება 500 ლარით, განმეორებისას – 1000 ლარით, ფიზიკური პირის შემთხვევაში კი ჯარიმა 100 ლარია.

სალომე ლემონჯავა

თბილისის გენგეგმა:

მეცნიერული ნაშრომი თუ თეატრალური ბუტაფორია?!

საზოგადოებაში **არ ცხრება კამათი თბილისის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის შესახებ. ერთნი თვლიან, რომ ეს არის ერთადერთი პანაცეა თბილისის გადასარჩენად, მეორენი მას საცნობარო „რეფრენს“ დოკუმენტის კვალიფიკაციას აძლევენ და თვლიან რომ მისი დამტკიცება, მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე აქტი იქნება.**

ერთნი ამბობენ, რომ ამ დოკუმენტზე 2 წლის განმავლობაში უამრავმა ქართველმა და უცხოელმა ექსპერტმა იმუშავა და თვისობრივად ახალი და თანამედროვე დოკუმენტი შეიქმნა, სულ რაღაც 2 მილიონ ლარად და სახელმწიფო (თბილისის მერიის სახით) ვალდებულია, მას დარჩენილი 800.000 ლარიც გადაუხადოს.

მეორენი კი ეჭვს გამოთქვამენ, რომ არანაირ უცხოელ ექსპერტებს არ უმუშავიათ ამ დოკუმენტზე, მათი მხოლოდ სახელი გამოიყენეს და ამაში გადაიხადეს მიზერული თანხა და არა გაცხადებული 1,4 მილიონი ლარი, ხოლო ქართველ სპეციალისტებს უკვე მესამე წელია, დაპირებებით კვებავენ და ეს 800.000 ლარი მათი დაპირებული შრომის ასანაზღაურებლად ჭირდებათ გენგეგმის ავტორებს.

თვალშისაცემია რომ, იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ამ დოკუმენტს დადებით შეფასებას აძლევს კატასტროფულად მცირდება მას მერე, რაც ქალაქის სათავეში ახალი მერი, ბატონი კალაძე მოვიდა, რომელიც დიდად არ არის აღფრთოვანებული ამ დოკუმენტის კვალიფიციურობით.

შესაბამისად თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დოკუმენტი არ მიიღო, დაუდგინა მას ხარვეზები და გამოსასწორებლად 45 დღე მისცა.

2,5 წლის განმავლობაში ნაწვალებ დოკუმენტს 45 დღეში რომ ვერ გადააქცევ მაღალ შემოქმედების ნიმუშად, ეს ყველასათვის ცხადია. ამას ისიც ემატება, რომ დოკუმენტის საბოლოო შეფასებას სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტები შეაფასებენ, რაც დიდი ალბათობით იმისი წინაპირობაა, რომ მათი ვერდიქტი „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე უარყოფითი იქნება, რაც კალაძეს მისცემს საშუალებას, არ მიიღოს ეს გენგეგმა და დარჩენილი 800.000 ლარის გაცემაზეც უარი განაცხადოს, პარალელურად კი ბიუჯეტში არგადახდილი ჯარიმის 140.000 ლარის გადახდაც კატეგორიულად მოთხოვოს ავტორებს.

როგორც კომპეტენტური სპეციალისტები აღნიშნავენ, დღეს წარმოდგენილი დოკუმენტი არის მხოლოდ სურვილებით, რეკომენდაციებითა და ძველი გენგემებიდან გადმოკოპირებული მასალით შეზავებული გარემოს რეგულირების გეგმა, რომლის მიზანია, შეცვალოს ქალაქის ფუნქციონალური ზონები კონკრეტული ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით და სხვა არაფერი. ეს დოკუმენტი სავარაუდოდ, წარმოადგენს 2009 წლის გენგეგმის კორექტირებულ ვარიანტს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გადმოწერილია კიდევ უფრო ძველი გენგემის მასალებიდან.

ბუტაფორია იქით იყოს და თუ არც მონაცემთა ბაზები არსებობს, არც სტატისტიკა, არც დემოგრაფიული მონაცემები, არც ქალაქის ცენტრი, არც ზონალობის თვითნებურად ცვლილების დასაბუთება, არც სატრანსპორტო პოლიტიკის გააზრება, არც განივი კავშირები და არც კონკრეტული რეკომენდაციები, მაშინ ისმის კითხვა – რასთან გვაქვს საქმე?

თუმცა, არც გადმოწერა და ახალ გარსში შეფუთვა გამოუვიდათ კარგად და წარმოდგენილი დოკუმენტი ყოველგვარ შინაგან სილამაზეს და შინაარს არის მოკლებული. აშკარად ჩანს, რომ ეს არ არის შემოქმედებითი და ინტელექტუალური წვის პროდუქტი და სახეზე გვაქვს რეალური გენგეგმის თეატრალური ბუტაფორია.

„სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მუშა ჯგუფში არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ბ-ნი გივი შავდიას ხელმძღვანელობით მუშაობდნენ თბილისის ადრეულ გენგეგმებზე და მათ მაინც უნდა იცოდნენ, თუ რა შინაარსი და რა შრომა უნდა იყოს ჩადებული ასეთი ტიპის დოკუმენტში.

თუ გადახედავთ თბილისის ძველ 1972-2000 წლების გენგემას, მიუხედავად იმისა, რომ ის საბჭოთა კავშირის დროინდელი დოკუმენტია და ე.წ. „გოსპლანის“ მეთოდოლოგიით და დაკვეთით არის შესრულებული, მასში აშკარად ჩანს ავტორთა პროფესიონალიზმი, რომელიც მეცნიერულ დასაბუთებებზე, მონაცემთა ბაზებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ქმნის დოკუმენტს, რომელმაც დროს გაუძლო და რომელსაც პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზება რომ დაცლოდა, დღეს თბილისში სულ სხვა რეალობა გვექნებოდა, ბეტონის „ჯუნგლებისგან“ განსხვავებით.

ამ ნაშრომში ყველა ის კომპონენტია მოყვანილი, რაც აკლია დღევანდელ გენგეგმას და თავისი სულისკვეთებით, ბევრად უფრო თანამედროვე დოკუმენტია, ვიდრე ეს უკანასკნელი. თბილისს დღეს ჭირდება მიწათსარგებლობის ისეთ გენერალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის მდგრად და სტაბილურ განვითარებას.

თანამედროვე მსოფლიოში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ურთულესი კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც შედგება არსებული მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის, კვლევის გაანალიზებული მონაცემების გათვალისწინების და თანამედროვე გამოცდილებისა და მიდგომების გამოყენებით მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებებისაგან. ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების, როგორიცაა განაშენიანების გეგმაზომიერი და მდგრადი განვითარება, ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილური ზრდა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრობლემების გადაწყვეტა, ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, ისტორიული და კულტურულ-მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნება და მოვლა. ქართველი და უცხოელი ექსპერტების განმარტებით, სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობას არის მოკლებული და სწორედ ეს კომპონენტები არ გვხვდება სრულყოფილი სახით „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში.

ამ ყველაფრის არარსებობა, არანაირ „უხერულობას“ არ იწვევს პროექტის ავტორებში. არ ყოფილა მოთხოვნა და ამ თემებზე არც გვიფიქრიაო.

ბუტაფორია იქით იყოს და თუ არც მონაცემთა ბაზები არსებობს, არც სტატისტიკა, არც დემოგრაფიული მონაცემები, არც ქალაქის ცენტრი, არც ზონალობის თვითნებურად ცვლილების დასაბუთება, არც სატრანსპორტო პოლიტიკის გააზრება, არც განივი კავშირები და არც კონკრეტული რეკომენდაციები, მაშინ ისმის კითხვა – რასთან გვაქვს საქმე?

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დღეს დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტი რეალურად წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, 2009 წელს დამტკიცებული გენგემის კოპირებულ ასლს, რომელსაც ჩაუტარდა კოსმეტიკური ცვლილება და შეიფუთა „კრეატიულ გარსში“, ანუ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ სახეზე გვაქვს მცდელობა, თბილისს მიაღებინონ დოკუმენტი, რომლის მხოლოდ სახელი იცვლება და მასში ასახულია (და ახლაც რჩება) მაშინდელი მმართველი კლანის ეკონომიკური ინტერესები.

„თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“ გახლავთ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც „ქართული ოცნების“ (ბ-ნი ნარმანია) მიერ იქნა ინიცირებული და რომელსაც მხურვალედ უჭერს მხარს „ ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და მათთან ასოცირებული პოლიტიკური პერსონები. მხარს უჭერენ არა მისი პროფესიონალიზმის, არამედ ფაქტობრივი გარემოების გამო, რაც გამოიხატება მგგ-ში მათვის საინტერესო ადგილებისთვის გარკვეული ზონალობის მინიჭებაში, რკინიგზის გადატანის ქვეყნის ინტერესებისთვის მავნებლური პროექტის განხორციელების ხელშეწყობასა და კონკრეტული ბიზნეს-ლოკაციების ხელში ჩაგდების სურვილში.

ჩვენ კი, თბილისის მოქალაქეებმა, სამწუხაროდ, დავკარგეთ დედაქალაქის სწორი განვითარებისთვის ესოდენ საჭირო 3 წელი, არამიზნობრივად დავხარჯეთ რამდენიმე მილიონი ლარი და რეალურად მივიღეთ დოკუმენტი, რომელსაც კულისებში მივიწყებული, მტვერმოკიდებული, თეატრალური ბუტაფორიის სუნი ასდის.

ჯუმბერ ჯალაღონია

ქვეითთა უფლებები უნდა დავიცვათ!

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, ჩვენ დავიწყეთ სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასა და ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებაზე. თქვენ იცით, რომ ჩვენ ახლა ევროპული ტიპის 100 ერთეულ ავტობუსს ჩამოვიყვანთ. ეს საკმარისი არ არის, თუმცა მომდევნო წლების განმავლობაში სრულად მოხდება ჩანაცვლება. გარდა ამისა, ქვეითთა უფლებები უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული. ჩვენ ქალაქში გვაქვს გამოკვეთილი კონკრეტული ადგილები, სადაც ფეხით გადასვლა ერთი მხრიდან მეორე მხარეს შეუძლებელი ხდება, იმიტომ რომ, არანაირი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. დღეის მდგომარეობით გამოვლენილი გვაქს 100-ზე მეტი ლოკაცია, სადაც უნდა მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დახაზვითი სამუშაოები, ასევე შუქნიშნების განთავსება. აქვე მინდა, დავავალო გამგებლებს, თქვენს რაიონებში იდენტიფიცირება გაუკეთოთ ასეთ ადგილებს და მოგვაწოდოთ კონკრეტული ლოკაციები, რომ ჩვენი მხრიდან განხორციელდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ასევე სავალდებულოა ზებრა გადასასვლელებზე დავაყენოთ ღამის განათებები, როგორც განვითარებულ ქვეყნებში და მთლიანად ეს ყველაფერი იქნას მოწესრიგებული“.

აბრებზე ქართული ენის გამოყენების სტანდარტის დაუცველობისთვის ჯარიმები გამკაცრდება!

დედაქალაქის მერი კახა კალაძე თბილისში არსებული ობიექტების აბრებზე ქართული ენის გამოყენების სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გამკაცრების ინიციატივით გამოდის. კახა კალაძემ მოადგილეებს უკვე დაავალა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის გადასაცემად საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდეს.

„მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი და ყველა ობიექტს აქვს მათ აბრებზე ქართულენოვანი წარწერების განთავსების ვალდებულება, ეს არ სრულდება. ჯარიმები საკმაოდ დაბალია, ხოლო დაჯარიმების პროცედურა რთული და გრძელვადიანი. პირველ რიგში, უნდა ვცეთ პატივი საკუთარ ენას და დამწერლობას და ამის შემდეგ გვაქვს მორალური უფლება, იგივე მოვთხოვოთ სხვას“.

„მე ზედამხედველობის სამსახურს დავავალე, რომ ყველას, ფიზიკური პირი იქნება თუ იურიდიული, მისცეს გონივრული ვადა, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად გამოსწორდეს. მგონია, რომ ეს პრობლემა ძალიან მალე მოგვარდება“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველ სტუდენტებს დააფინანსებს

თბილისის **მერია „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში პირველი მარტიდან გაზაფხულის სემესტრის გადასახადის დაფინანსებისთვის განცხადებების მიღებას იწყებს. ქვეპროგრამის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაფინანსდებიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 70 000 ან ნაკლებია და სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ კერძო და სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ.**

განცხადებები მიმდინარე წლის პირველი მარტიდან 31 მაისის ჩათვლით მიიღება. აუცილებელია, განცხადება და დამატებითი დოკუმენტაცია თბილისის მერიაში თვითონ სტუდენტმა წარადგინოს. დაფინანსების მისაღებად, სოციალურად დაუცველმა სტუდენტმა ქალაქ თბილისის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან; ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური გადასახადის მითითებით; უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა; უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); I სემესტრის სტუდენტებისთვის სავალდებულოა, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებისა და შედეგების შესახებ ცნობა; რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა); სამოტივაციო წერილი.

სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სემესტრულად, 562,5 ლარი ერიცხებათ, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, დაფინანსება 70% ან 100%-მდე იზრდება. 2015-2017 წლებში ქვეპროგრამის ფარგლებში 6500-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი დაფინანსდა. მიმდინარე წელს კი მისი ბიუჯეტი კიდევ 200 000 ლარით გაიზარდა და ჯამში 1 200 000 ლარი შეადგინა.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲝ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡ ᲓᲐᲕᲣᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ „ᲤᲝᲗᲘ-ᲤᲐᲖᲘᲡᲘ“

ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს,

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს

ერთი ხანია საქართველოს მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების სახელზე გამუდმებით იგზავნება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს და საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის წერილები, რომლებიც მოითხოვენ ქ. ფოთისთვის ისტორიული სახელის — „ფაზისის“ დაბრუნებას, და ამით პატივის მიგებას ძველ კოლხურ, ე. ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ურთიერთობის ისტორიისათვის.

ქალაქი ფოთი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური ცენტრი, ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. ისტორიული გეოგრაფიის გამოჩენილი სპეციალისტის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის დამოწმებით ძველმა ბერძენმა კოლონიზატორებმა ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში იქ ემპორიონი, ანუ სავაჭრო ფაქტორია დააარსეს, რომელსაც ფასისი//ფაზისი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით ძველი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქადაც კი ითვლებოდა, სადაც ძველბერძნული თქმულების მიხედვით, არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, „ფაზისის“ ასეთმა პოპულარულობამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილი, რომ ფოთს გადაერქვას სახელი და ეწოდოს ფაზისი.

ამ განზრახვასთან დაკავშირებით ბატონი დ. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ სახელი ფოთი არ არის ახალი სახელწოდება, ძველქართულ წყაროში, იგი XI საუკუნეში იხსენიება, ხოლო ძველსომხურში, მსგავსი ფორმით „ფოით“ — VIII საუკუნის დასაწყისისთვისაა დამოწმებული, რაც გულისხმობს, რომ ეს ქართული ტოპონიმი გაცილებით უფრო ძველია, მართლაც, მეცნიერები — ლინგვისტები, ისტორიკოსები (მათ შორის უცხოელებიც) საბუთიერად ფიქრობენ, რომ „ფოთი“ აუცილებლად ადგილობრივი სახელწოდებაა, რომლის პროტოტიპი უკვე არსებობდა ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობის დროს, ანუ რამდენიმე ათასწლეულის წინათ, ხოლო საერთო ქართული ეთნოსიდან მეგრულ-ჭანურის გამოყოფის შემდეგ, ანუ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასაწყისში, უკვე უნდა არსებულიყო დღევანდელი ფორმით „ფოთი“, რაც შეეხება ბერძნულ „ფასის//ფაზისს“, იგი გაცილებით უფრო ახალია: ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში მოსულ ბერძენ კოლონიზატორებს ეს ტერმინი, როგორც ფიქრობენ, უნდა მიეღოთ „ფოთის“ აღმნიშვნელი სავარაუდო ძველი სვანური სახელწოდებიდან.

ბატონი დავითი დაასკვნის, რომ „ფოთი“ ადგილობრივი ძველისძველი ტოპონიმია, ხოლო „ფასისი//ფაზისი“ — უცხო, ბერძნული. სწორედ ამიტომაა, რომ კონსტანტინოპოლის 553 წლის V მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა სიის ქართულ თარგმანში მოხსენიებული ფაზისის მღვდელმთავრის წოდებულება — „ეპისკოპოზი ფასოისა სოფელსა შინა მეგრელთასა“, შუა საუკუნეების სქოლიასტის მიერ იქვეა განმარტებული: „ფოთსა იტყუის“, ანუ ფაზისი („ფასოი“) იგივე ფოთიაო.



ᲤᲐᲖᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐᲜ

ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ, ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ, ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲤᲝᲗᲘ-ᲤᲐᲖᲘᲡᲘ.

ᲡᲣᲠᲗᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ Ქ. ᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ — „ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ“ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲐᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲙᲝᲚᲮᲣᲠ, Ე. Ი. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲝᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓ�გᲣᲠᲘᲐ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲫᲕᲔᲚᲛᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲛᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲫᲕ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში იქ ემპორიონი, ანუ სავაჭრო ფაქტორია დააარსეს, რომელსაც ფასისი//ფაზისი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით ძველი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქადაც კი ითვლებოდა, სადაც ძველბერძნული თქმულების მიხედვით, არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, „ფაზისის“ ასეთმა პოპულარულობამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილი, რომ ფოთს გადაერქვას სახელი და ეწოდოს ფაზისი.

ამ განზრახვასთან დაკავშირებით ბატონი დ. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ სახელი ფოთი არ არის ახალი სახელწოდება, ძველქართულ წყაროში, იგი XI საუკუნეში იხსენიება, ხოლო ძველსომხურში, მსგავსი ფორმით „ფოით“ — VIII საუკუნის დასაწყისისთვისაა დამოწმებული, რაც გულისხმობს, რომ ეს ქართული ტოპონიმი გაცილებით უფრო ძველია, მართლაც, მეცნიერები — ლინგვისტები, ისტორიკოსები (მათ შორის უცხოელებიც) საბუთიერად ფიქრობენ, რომ „ფოთი“ აუცილებლად ადგილობრივი სახელწოდებაა, რომლის პროტოტიპი უკვე არსებობდა ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობის დროს, ანუ რამდენიმე ათასწლეულის წინათ, ხოლო საერთო ქართული ეთნოსიდან მეგრულ-ჭანურის გამოყოფის შემდეგ, ანუ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასაწყისში, უკვე უნდა არსებულიყო დღევანდელი ფორმით „ფოთი“, რაც შეეხება ბერძნულ „ფასის//ფაზისს“, იგი გაცილებით უფრო ახალია: ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში მოსულ ბერძენ კოლონიზატორებს ეს ტერმინი, როგორც ფიქრობენ, უნდა მიეღოთ „ფოთის“ აღმნიშვნელი სავარაუდო ძველი სვანური სახელწოდებიდან.

ბატონი დავითი დაასკვნის, რომ „ფოთი“ ადგილობრივი ტოპონიმია, ხოლო „ფასისი//ფაზისი“ — უცხო, ბერძნული. სწორედ ამიტომაა, რომ კონსტანტინოპოლის 553 წლის V მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა სიის ქართულ თარგმანში მოხსენიებული ფაზისის მღვდელმთავრის წოდებულება — „ეპისკოპოზი ფასოისა სოფელსა შინა მეგრელთასა“, შუა საუკუნეების სქოლიასტის მიერ იქვეა განმარტებული: „ფოთსა იტყუის“, ანუ ფაზისი („ფასოი“) იგივე ფოთიაო.

დასასრულ აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი უყოყმანოდ აცხადებს, ქალაქ ფოთის სახელწოდების ფაზისად შეცვლა ძველი ქართული კვალის წაშლას და უცხოურის დამკვიდრებას ნიშნავსო.

ასეთმა კატეგორიულმა დამოკიდებულებამ ამ საკითხისადმი გარკვეულწილად შეცვალა, უფრო სწორად ახალი მიმართულება მისცა „ფაზისელთა“ მიზანდასახულობას, რაც კარგად გამოკვეთა საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა, ეკონომიკის დოქტორმა **ნუგზარ ნადარაიამ:**

— პატივი მივაგოთ ძველ კოლხურ, ე. ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ურთიერთობის ისტორიას და ქალაქ ფოთს ვუწოდოთ სრულქმნილი ისტორიული სახელი **„ფოთი-ფაზისი“**.

ისტორიული ფაზისის რიტორიკული სკოლის (ცენტრის) მემკვიდრე ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ათასობით წევრის სახელით იგი გულწრფელ მადლობას უხდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, პირადად აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს გამოჩენილი ყურადღებისა და ძვირფასი ისტორიული განმარტებისთვის და აუცილებლად თვლის ამ განმარტების შესაბამისად ძველკოლხური ე. ი. ქართული და ძველბერძნული ცივილიზაციების ისტორიული ურთიერთობის პატივსაცემად ამიერიდან ქალაქ ფოთს ეწოდოს არა „ფაზისი“, არამედ **„ფოთი-ფაზისი“**.

ბატონი ნუგზარ ნადარაია იშველიებს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბინის (I საუკუნე) წიგნს „გეოგრაფიას“ და განმარტავს, რომ ფაზისი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო, აქ თავდებოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით, ალბანეთით და მტკვრით, შორაპანზე გავლით, შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიჰქონდა საქონელი. ცნობილია, რომ მდინარე ფაზისი (რიონი) შორაპნამდე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო და მისი მეშვეობით ხორციელდებოდა სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა.

ნ. ნადარაია არ იზიარებს მოსაზრებას ამ როლის ფაზისის ნაცვლად მდინარე ჭოროხისთვის დაკისრების თაობაზე, მისი ჩქარი დინებისა და მთებიდან ქვა-ღორღის შავ ზღვაზე ჩამდინარების მიზეზით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფაზისის აკადემიის სამეცნიერო საბჭო ქვეყნის ხელისუფლებისა და ადგილობრივი საქალაქო-რაიონული თვითმმართველობის სადირექტივო ორგანოების, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წინაშე აყენებს საკითხს, ქ. ფოთს მიეცეს სახელწოდება „ფოთი-ფაზისი“, ხოლო ფოთისა და ხობის ეპარქია იწოდებოდეს ფაზისის სამიტროპოლიტოდ (ეპარქიად).

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მთელი ამ წამოწყების „ამძრავი ღვედია“ წარჩინებული და აღიარებული საზოგადო მოღვაწე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ჭყონდიდელ-ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ნუგზარ ნადარაია. მას კარგად იცნობს საზოგადოებრიობა, მაგრამ მისი ბიოგრაფიის ზოგად მონაცემებს მაინც შევახსენებთ მკითხველს. დაიბადა 1945 წელს ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის ოთარ ნადარაიასა და სახალხო ექიმის, კოლხეთში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის აქტიური მონაწილის რუსუდან გველესიანის ოჯახში. მეუღლე მანანა ქორიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კოტე ჩაჩავას სახელობის კლინიკის პროფესორია, ვაჟი ოთარი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ექსპერტ-კონსულტანტია, რძალი ნათია გიგაური — აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი. ბატონი ნუგზარი წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე, შემდეგ — საქ. კომპარტიის ცკ-ში ინსტრუქტორად, ინსპექტორად, თერთმეტი წელი — ხობის რაიკომის პირველ მდივნად, აჭარის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი — მაჟორიტარი ხობიდან, საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „ნეიტრალების“ და პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ შემქმნელი და თავმჯდომარე, ფოთის მერი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ფოთში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე. ფაზისის აკადემიის თავმჯდომარეა 2012 წლიდან...

„ფაზისისთვის ბრძოლა“ 2016 წლიდან დაიწყო, როცა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს პირველი წერილი-თხოვნა გაეგზავნა საქართველოს მთავრობას; ფაზისის აკადემიის წერილები გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში; ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს ინიციატივით 2017 წლის ივნისში ჩატარდა მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი (1285 კაცი გამოკითხული 1736 კაციდან) იწონებდა ქ. ფოთისთვის ფაზისის სახელის მიკუთვნებას. დღეს საზოგადოება კორექტირებას უკეთებს მაშინდელი გამოკითხვის მიზანს და მოითხოვს ქალაქ ფოთისთვის „ფოთი-ფაზისის“ დარქმევას.

ფაზისის აკადემიის მრავალათასიანი შემადგენლობა, ფოთის საზოგადოებრიობა დაბეჯითებით სთხოვენ საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, გაითვალისწინონ ხალხის ეს სურვილი და საქართველოს რუკაზე დაამკვიდრონ ახალი სახელი — ფოთი-ფაზისი.



ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ, ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ, ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲤᲝᲗᲘ-ᲤᲐᲖᲘᲡᲘ.

დაეტყო ! ანუ როცა რეჟისორი თეატრს იცვლის...

„შეშლილის წერილები“ რუსთავის სცენაზე

გორის თეატრში სოსო ნემსაძის ოთხი სპექტაკლი მაქვს ნანახი.

ოთხივე სხვადასხვანაირად კარგი და საინტერესო:

„დანტონი“ (გ. ბიუხნერი, ს. პშიბიშევსკა);

„მუსუსი“ (მ. ჯავახიშვილი);

„ალუბლის ბაღი“ (ა. ჩეხოვი);

„იები თოვლში“ (რ. ჩხეიძე — ეძღვნება იაკობ გოგებაშვილს).

ვფიქრობ, ჩამონათვალი თავისთავად მეტყველებს რეჟისორის მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებაზეც და ეროვნულ მრწამსზეც.

სხვა გახმაურებული სპექტაკლებიც დაუდგამს.

უბრალოდ, მე არ მინახავს...

ამიტომ არ მიკვირს, ძალიან რომ გაუკვირდათ გორიდან მისი მოულოდნელი წამოსვლა.

კი, ის არა მხოლოდ ძალიან ნიჭიერია, არამედ ძალიან ჭკვიანიც და იცის, როდის სად უნდა წავიდეს ან გაცლა როდის სჯობს, მაგრამ მაინც გამიკვირდა, რადგან გორის თეატრალურ ცაზე ჯერ ერთი პატარა ღრუბელიც არ ჩანდა...

მავრა — ეკატერინე ქვრივიშვილი

* * *

გორის თეატრიდან წამოვიდა.

მაგრამ, მიხეილ თუმანიშვილისა არ იყოს, თეატრიდან ხომ ვერ წავიდოდა?

სად უნდა წასულიყო?

თბილისის თეატრებში ხომ „ყველა ადგილი დაკავებულია“...

* * *

რუსთავის თეატრი.

შესანიშნავი წარსულითა და მძიმე დღევანდელობით.

მაგრამ სოსო ნემსაძე ისე არსად მივა, რომ თავისი ხელი არ დაატყოს.

უკვე დაატყო.

საიუბილეო გამოცოცხლება: რუსთავის თეატრი 50 წლისაა. ღვაწლმოსილ მსახიობთა ვარსკვლავების გახსნა. მათთვის დადგმული „კვარტეტი“ (ჩვენ რომ „მოხუც ჯამბაზებად“ ვიცნობთ“), თვითონ უფრო აქციას რომ უწოდებს, ვიდრე სპექტაკლს.

და უკვე სერიოზული რეჟისორული განაცხადი: **ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“** — ქართულ სცენაზე მრავალგზის დადგმული მოთხრობა და არა პიესა, ერთი მსახიობის შესრულებითაც კი რომ გვინახავს.

მაინც რით იზიდავს ქართველ რეჟისორებს რუსი მწერლის ეს მოთხრობა (კი, ბატონო, ნამდვილი კლასიკა)?

ფაქტია, რომ იზიდავს.

ალბათ, უპირველესად, კლასიკური სიღრმით, იმ მარადიული სათქმელითა და სატკივრით, თუ როგორ შეიძლება, შეშალოს ადამიანი რუტინამ და დამცირება — შეურაცხყოფამ.

პოპრიშჩინი — ანდრია ვაჭრიძე

როცა ამ ნაწარმოებს დგამ, რაგინდ ნიჭიერი რეჟისორიც იყო, ფონს ვერ გახვალ, თუ მთავარი გმირის — პოპრიშჩინის განმასახიერებელი მსახიობი არა გყავს.

სოსო ნემსაძეს უდავოდ ჰყავს ასეთი არტისტი — **ანდრია ვაჭრიძე**. ახალგაზრდა მსახიობმა შესაშური დამაჯერებლობით გვაჩვენა შეშლილად თანდათანობით ქცევის პროცესი.

დიახ, პროცესი და არა, უბრალოდ, ამ პროცესის შედეგი.

ეს რთული გზა მან სწორედაც რომ ჩვენ თვალწინ გაიარა — პირდაპირი მნიშვნელობითაც.

რას ვგულისხმობ?

იმას, რომ გენიალური მსახიობიც რომ ჰყავდეს, სოსო ნემსაძე ის რეჟისორია, ვინც თავის სპექტაკლს ერთი მსახიობის თეატრად მაინც რომ არ აქცევს.

ის ნებისმიერ პიესას (გნებავთ, მოთხრობას) მხოლოდ მაშინ დგამს, როცა რეჟისორული კონცეფცია და სპექტაკლის ორიგინალური ქარგა მკაფიოდ აქვს გააზრებული. ეს სპექტაკლი კი ისე თამაშდება, რომ მაყურებელიც სცენაზეა.

და რამდენი რამაა მოფიქრებული იმისთვის, რომ თითქმის ნახევარწრეზე მსხდომმა მაყურებელმა არა მხოლოდ არტისტული გარდასახვა და ადამიანის შეშლა დაიჯეროს, არამედ საინტერესო სცენური სანახაობაც იხილოს.

გოგოლი დაგიწერს ბრწყინვალე ტექსტს, მაგრამ მისი სცენური განსახიერების ხერხებს, ცხადია, არ გიკარნახებს.

გენერალი (დირექტორი) — ნუკრი არჩვაძე

მით უფრო, რომ მოთხრობას წერს და არა პიესას.

ხერხები რეჟისორმა უნდა მოიფიქროს.

ამ შემთხვევაში — სოსო ნემსაძემ.

და მართლაც, რამდენი რამაა საინტერესოდ მოფიქრებული.

ჩვენ თვალწინ გათამაშდება რეჟისორულ კონცეფციაზე აწყობილი სპექტაკლი, სადაც ყველა მსახიობს თავისი ფუნქცია აქვს. ყველა მოქმედია, ყველა ცოცხალი, მასობრივ სცენებშიც კი ორგანულად ჩაწერილი, მიზანსცენის გამასულიერებელი...

და მაინც უნდა გამოვყოთ მავრას (მოსამსახურე ქალი) როლის შემსრულებელი **ეკატერინე ქვრივიშვილი**. მსახიობი თითქმის არ მეტყველებს, სულ რამდენიმე ფრაზას წარმოთქვამს, მაგრამ მეტყველი პლასტიკით, გარეგნული თუ შინაგანი შტრიხებით, შთამბეჭდავ სახეს ქმნის. რუსსაც ხატავს და რუსეთსაც.

დანარჩენი პერსონაჟებიც მკაფიოდ გამახსოვრდებიან - გენერლის მომხიბლავი ქალიშვილი (**ანნა დოდაშვილი**), მსუბუქად რომ დაფარფატებს სცენაზე; თვითონ გენერალი, რომელსაც **ნუკრი არჩვაძე** რამდენიმე ფრაზითა და დახვეწილი მანერებით წარმოგვიდგენს;

ასევე, გამოკვეთილ სახეებს ქმნიან **ლუკა ციხისთავი** (**კამერ**-იუნკერი), **ლაშა კანკავა** და **ბექა კულიჯანაშვილი** (გადამწერები), **ნიკა მოსიაშვილი** (სამსახურის უფროსი), **თამარ კანდელაკი (ზედამხედველი** ქალი), **ზაზა თაგოშვილი** (ზედამხედველი).

აუცილებლად უნდა შევაქოთ მსახიობები, რომლებიც ოსტატურად განასახიერებენ ადამიანის ორფეხა მეგობრებს: **ანა შარვაძე** (მეჯი) და **გიორგი ბუაძე** (ფიდელი).

ასევე, გულწრფელ შექებას იმსახურებენ მსახიობები, რომლებიც დიდი და წრფელი ემოციით გაჯერებულ მასობრივ სცენებს ქმნიან: **სოფო ჩხიტუნიძე, ნათია მელაძე, მარიამ კვიტაიშვილი, რევაზ კოლოშვილი, მერი ფხოველიშვილი, შოთა მერკვილაძე** ...

* * *

როცა სპექტაკლზე ვწერ, ყოველთვის მაღელვებს ერთი საკითხი: არავინ გამომრჩეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა თითოეულის წვლილი მნიშვნელოვანია და კარგი შედეგის სხვადასხვა დოზით განმაპირობებელი. მით უმეტეს, როგორ შეიძლება, გამოგვრჩეს ამ ნამდვილად შესანიშნავი სპექტაკლის ფაქტობრივი თანაავტორები: კოსტიუმების მხატვარი **მაია სხირტლაძე** (სცენოგრაფი თვითონ სოსო ნემსაძეა), ქორეოგრაფი **გია მარღანია,** მუსიკალური გამფორმებელი **ლელა არაბული** (დამდგმელ რეჟისორთან ერთად), რეჟისორის თანაშემწე **ლეილა ჯელაძე**.

* * *

ხომ მოგეწონათ? მრავალი წელია, ასეთი სპექტაკლი ჩვენთან არ დადგმულა. — გვკითხა და გვითხრა ქალბატონმა, რომელმაც მე და როსტომ ჩხეიძე, სოსო ნემსაძის თხოვნით, თეატრიდან გამოგვაცილა.

იმ ქალბატონის სახელი და გვარი, სამწუხაროდ, არ ვიცი.

ჯერჯერობით, არ ვიცი...

* * *

ერთი შენიშვნა:

ბოლო დროს ქართულ თეატრში ერთგვარ მოდად იქცა წყლის ჭარბად გამოყენება, ფაქტობრივად, წუწაობა (როსტომმა, ერთხანობას ასევე მოდაში იყო კვამლიო). სოსო ნემსაძე ის რეჟისორი არ არის, ფეხის ხმას რომ ადვილად აჰყვება. ამ სპექტაკლში წყალი აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ მომეჩვენა, რომ ცოტა ზედმეტია (მაგალითად, შარვლის ხანგრძლივად გამორეცხვა და მით უფრო ერთი სათლი წყლის პერსონაჟისთვის მთლიანად თავზე გადასხმა, თვითონ ეს რამდენიმე სათლიც, „ვედროს“ რომ ვეძახით, გარკვეულწილად აფერმკრთალებს სპექტაკლის უდავო ესთეტიკურ დახვეწილობას).

რა უცნაურია: ამ მართლაც ღრმა და საინტერესო სპექტაკლში, გადატანითი მნიშვნელობით, საერთოდ არ არის „წყალი“, პირდაპირი მნიშვნელობით კი აშკარად ბევრია.

ვფიქრობ, გამოსწორება ძნელი არ არის...

* * *

რაც მთავარია, მოუთმენლად ველოდებით სოსო ნემსაძის ახალ, კიდევ უფრო საინტერესო სპექტაკლებს. მას ხომ „ფორმაში“ თანდათან შესვლა სჩვევია.

მერე კი, ალბათ, კიდევ ერთხელ შეიცვლის თეატრს.

მერე ლოგიკურად იქნება დედაქალაქიც...

იოსებ ჟუმბურიძე

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი დასრულდა

28 თებერვალს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი დასრულდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა 1 მარტიდან იკრძალება.

აკრძალულ პერიოდში ნადირობა 500-700 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციასა და მოპოვებული ობიექტის კონფისკაციას ითვალისწინებს. ფრინველის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში, საჯარიმო თანხას გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხაც ემატება. თუ მოპოვებული ნანადირევით გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, პირის მიმართ შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები მთელი საქართველოს მასშტაბით გაამკაცრებენ კონტროლს ამ მიმართულებით.

ნუთუ ნატომ ვერ უნდა იხსნას უკრაინა და საქართველო რუსეთის ბრჭყალებიდან?!

ჯულიან ლუისი: საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებს ძირს გამოუთხრის

როგორც ცნობილია, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლისას ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ როუზ გეტემიულერმა განაცხადა, რომ უკრაინას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, უნდა თუ არა „მაპ“-ის მიღებაო. ამასთან, მას არ დაუზუსტებია, რა ჰქონდა მხედველობაში — უკრაინის ყოყმანი, რომ კიევი შეიძლება ხვალ ისევ მოსკოვისაკენ შებრუნდეს თუ ის, რომ ნატოში გაწევრების საკითხზე ჩვენ ჯერ კიდევ არ ჩაგვიტარებია რეფერენდუმი. ამასთან, როგორც ნატოში უკრაინის ელჩმა ვადიმ პრისტაიკომ „სოგოდნია“-სთან ინტერვიუში აღნიშნა, ალიანსის დოკუმენტებში, გაფართოებასთან მიმართებით, უკრაინა ასპირანტად არის მიჩნეული, თუმცა იქვე მცირე შენიშვნაცაა — ჩაწერილია, რომ 2010 წლიდან უკრაინამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისაკენ წინსვლა შეაჩერაო.

ყბადაღებული კანონი უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსზე ვერხოვნა რადამ ჯერ კიდევ 2014 წელს გააუქმა, მაგრამ ალიანსში ამ ფაქტს თითქოსდა ვერ ამჩნევენ და გაფართოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში ცვლილებები არ შეაქვთ, მაგრამ ნეტავ ეს ყოფილიყო მთავარი პრობლემა... სამწუხაროდ, ნატო მიიჩნევს, რომ უკრაინა თავის ევროატლანტიკურ სწრაფვაში ყოველთვის რუსეთის ჩრდილქვეშ იქნება. კარგად გვახსოვს, რომ სწორედ მოსკოვის ჩარევის გამო არ განხორციელდა ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილება — უკრაინამ და საქართველომ „მაპ“-ის მიღებაც კი ვერ შეძლეს. ათი წელი გავიდა და ალიანსში სიტუაცია ამ მხრივ პოზიტიურად არ შეცვლილა. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, სამიტის შემდგომი მოვლენები თბილისისა და კიევისათვის ძალიან ნეგატიური იყო: ბუქარესტიდან ნახევარ წელსაც არ გაუვლია, რომ რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, ექვსი წლის შემდეგ კი მოსკოვმა ყირიმის ანექსია განახორციელა და დონბასში ომი გააჩაღა.

როგორც დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ჯულიან ლუისის (Julian Lewis) სიტყვებიდან ჩანს, ალიანსი იმისთვისაც კი არაა მზად, რომ მესამე ქვეყნის თავდასხმის დროს თავის პარტნიორებს დაეხმაროს, რომ არაფერი ვთქვათ მათზე, ვისაც ნატოს წევრობა სურს. „სეგოდნია“-სთან ბლიც-ინტერვიუში ჯულიან ლუისმა განმარტა, თუ რატომ აღმოჩნდა ნატო კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის კრახის წინაშე.

— ბუქარესტის სამიტიდან 10 წელი გავიდა, სიტუაცია კი არ იცვლება. უკრაინის ნატოში შესვლას რუსეთი ჩრდილავს...

— მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უკრაინის ნატოში განაცხადის რეალიზება იოლი არ იქნებოდა. ამის მიზეზი შემდეგში გამოიხატება: ნატომ ვერ შეძლო რუსეთის დარწმუნება იმაში, რომ მისი ყოველი წევრი მზადაა მესამე მსოფლიო ომის დასაწყებად, თუ ალიანსის რომელიმე წევრი თავდასხმის ობიექტი აღმოჩნდება. შესაბამისად, ნატომ რუსეთი ღიად უნდა დაარწმუნოს, რომ მოსკოვი არ უნდა დაესხას თავს ალიანსის რომელიმე წევრს, რადგანაც ეს გამოიწვევს პირდაპირ კონფლიქტში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ჩაბმას. უკრაინამ ნატოსაკენ მიმავალ გზაზე უნდა იაროს, სანამ აბსოლუტურად ყველა წევრი არ გადაწყვეტს — მიიღონ თუ არა ისეთი ქვეყანა, რომლის მიმართაც გარკვეული ეჭვები არსებობს.

— ეჭვები იმისა, რომ უკრაინის გამო ნატოს წევრებს საქმე რუსეთთან ექნებათ?

— თუ რუსეთი ნატოს წევრს თავს დაესხმება, ნატო კი მას პასუხს ვერ გასცემს, მაშინ კოლექტიური უსაფრთხოების მთელი სისტემა დაირღვევა. ამიტომაც ჩემი რჩევა უკრაინას: იმუშავეთ ნელა, მაგრამ განუხრელად. იმუშავეთ ისე, რომ მტკიცედ იყოთ ასოცირებული დასავლეთთან, მაგრამ დასავლურ ვექტორში უნდა დაარწმუნოთ თქვენი ის რეგიონებიც, რომლებიც აღმოსავლეთით იყურებიან. ასეთ შემთხვევაში უკრაინის მოსახლეობა იგრძნობს, რომ ყველას ინტერესია გათვალისწინებული — მედასავლეთეებისაც და რუსეთუმეებისაც. ამ დროს იქმნება პოლიტიკური სისტემა, რომელიც ნატოსაც შეეხება და ევროკავშირსაც.

— როუზ გეტემიულერმა უცნაურად თქვა — აბა, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, როცა უკრაინას ჯერ თვითონ ვერ გადაუწყვეტია, უნდა თუ არა ნატოში გაწევრებაო...

— უსაფრთხოების გარანტიების მიცემის პრობლემა იმაშია, რომ თუ ამ მხრივ რაიმე ეჭვები იბადება, ეს პირველ რიგში თვით უსაფრთხოების სისტემას არღვევს. უკრაინის მიმართ სიტუაცია ასეთია: თქვენ უარი თქვით ატომურ იარაღზე და ამით უსაფრთხოების გარანტიები მიიღეთ. სამწუხაროდ, გარანტიები არ ამოქმედებულა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკრაინამ ქვეყნის შიგნით მთლიანად გაიზიაროს ნატოსა და ევროკავშირის ღირებულებები, სანამ მათთან მჭიდროდ დაახლოების მიზნით კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს. თუ ასე არ იქნება, მაშინ შეიძლება სიტუაცია ასე განვითარდეს: უკრაინა ოფიციალური დოკუმენტებით რაღაცას მიიღებს, მაგრამ კრიზისის დროს ის „რაღაცა“ არ იმუშავებს.

საკითხის ასე დასმა ნატოს ყველა წევრის ინტერესებშია, მათ შორის საქართველოს და უკრაინის ინტერესებშიც, რომლებიც ალიანსის წევრები არიან - ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ უსაფრთხოების გარანტია ყოველთვის უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი არ დაიჯერებს, რომ წესდების მე-5 მუხლი უსაფრთხოების გარანტიების შესახებ ყოველთვის შესრულდება, რაც, თავის მხრივ, ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების სწრაფვას შეაფერხებს. ეს არავის სიკეთეს არ მოუტანს, პირიქით, აგრესიას წააქეზებს.

— ივლისში, ბრიუსელში, ნატოს სამიტი უნდა გაიმართოს. უკვე ზოგიერთი ამერიკელი ანალიტიკოსი ალიანსის ლიდერებს ურჩევს, რომ დროა, საქართველოს „მაპ“-ი მისცეთო. როგორაა უკრაინის საქმე?

— უკრაინა და საქართველო ძალიან მსგავს სიტუაციაში არიან. ისინი ორივე დიდხანს იმყოფებოდნენ საბჭოთა ოკუპაციაში, ახლა კი დასავლეთისაკენ იმზირებიან. თავის მხრივ, დასავლეთი მათ მხოლოდ იმედს აძლევს უსაფრთხოების გარანტიის ნაცვლად. ამიტომ ჩვენ ასეთი მიდგომის შეცვლაზე უნდა ვიფიქროთ. დღეს საქართველოსა და უკრაინის წევრობა, როგორც უკვე ვთქვი უსაფრთხოების გარანტიას არყევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოს მიერ გატარებული შეკავების პოლიტიკის ეფექტი დასუსტდება. ეს კი არავის ინტერესებში არ უნდა იყოს, თუმცა მე პირადად სრულად ვაცნობიერებ უკრაინისა და საქართველოს სწრაფვას ნატოში გასაწევრებლად.

„СЕГОДНЯ“ (უკრაინა)

სტრატეგიული პარტნიორები ასე არ იქცევიან!

საქართველოს ხელმძღვანელებმა ეს ანბანური ჭეშმარიტება უნდა შეიგნონ

„26 თებერვალს აზერბაიჯანსა და ბევრ სხვა ქვეყანაში ჰოჯალში მომხდარი გენოციდის 26-ე წლისთავი აღინიშნა. გასაგები მიზეზების გამო, სწორედ ასეთ დღეებში დარწმუნდები, თუ ვინაა ჩვენი ჭეშმარიტი მეგობარი და მოკავშირე. რა თქმა უნდა, როცა ფინანსურ და ეკონომიკურ პრეფერენციებს იღებ, სტრატეგიულ პარტნიორობაზე ლაპარაკი ადვილია, მაგრამ ისეთ სიტუაციაში გამოცდას, როგორც გუშინ მოხდა, ბევრი ვერ აბარებს. აი, ერთ-ერთი მაგალითი:

„საქართველო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციის წინააღმდეგია“, — ასე უთქვამს საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მარნეულში, აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც პროექტის **„დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე - რესპუბლიკის 100 წელი“ ჩარჩოებში გაიმართა“** — ნათქვამია აზერბაიჯანული გამოცემის „Новое время“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის ქართულენოვან, შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:

შეხვედრის ერთ-ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ პრეზიდენტს შეახსენა, რომ 26 თებერვალს აზერბიჯანში ხოჯალის გენოციდის 26-ე წლისთავი აღინიშნებაო და სთხოვა, რომ ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისათვის პატივი წუთიერი დუმილით მიეგოთ. პატივი არ მიგებულა, თუმცა საქართველოს პრეზიდენტმა, კითხვაზე პასუხის გაცემისას, თქვა, რომ იგი თვალს ადევნებს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას. გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა.

ზოგჯერ ისეთი ნეიტრალიტეტი, როგორსაც საქართველო მთიანი ყარაბაღის საკითხში აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მიმართ იცავს, აბსურდამდე მიდის. უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნისადმი პატივისცემა — ეს ხომ ჰუმანიზმის აქტის გამოვლენაა... მით უმეტეს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება გენოციდს, რომელიც სომხებმა ეთნიკური ნიშნით განახორციელეს. საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელები ერევანში ვიზიტების დროს, როგორც წესი, ოსმალეთის იმპერიის დროს მომხდარ „სომხების გენოციდის“ მემორიალს ეწვევიან ხოლმე. განა ვინმე ფიქრობს იმ მომენტში, თუ რას იტყვიან ამის გამო თურქეთში ან აზერბაიჯანში? ჰოდა, რამ შეუშალა ხელი გიორგი მარგველაშვილს, რომ დაღუპული ხოჯალელების ხსოვნისადმი პატივი მიეგო? ნუთუ ოფიციალური ერევნის შესაძლო რეაქციამ?

სხვათა შორის, სწორედ ასეთ გაუგებარ ნაბიჯებში გამოიხატება თბილისის პოლიტიკა აზერბაიჯანთან ურთიერთობაში, ორმხრივი კავშირების მთელი ისტორიის მანძილზე. ერთი მხრივ, საქართველოს ოფიციალური პირები აზერბაიჯანისადმი ძმურ ურთიერთობაზე ლაპარაკობენ, მეორე მხრივ კი — სახეზეა ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის შევიწროება და დისკრიმინაცია — იხურება აზერბაიჯანული სკოლები, სამსახურიდან ათავისუფლებენ აზერბაიჯანელ პედაგოგებს, ასევე იხურება კულტურული ცენტრები და ის ისტორიული ღირსშესანიშნაობები, რომლებიც მოწმენი არიან იმისა, რომ აზერბაიჯანელები, ჩვენი თანამემამულენი ამ მიწებზე ასწლეულების განმავლობაში ცხოვრობენ.

იმავდროულად, საქართველოს ხელისუფლება სიმპათიებით ეკიდება ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრებ სომხებს, რომლებიც, ბორჩალოელებისაგან განსხვავებით, ყოველთვის გამოხატავდნენ სეპარატისტულ განწყობებს, საქართველოსაგან ამ ტერიტორიის ჩამოცილების მიზნით.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის გამონათქვამს, რომ იგი თვალს ადევნებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას, ეს სხვა არაფერია, თუ არა თავის არიდების მცდელობა მთავარი საკითხისაგან: აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპირებისაგან სომხეთის მიერ, რამაც, პრინციპში, ხოჯალის ტრაგედიამდე მიგვიყვანა. სხვათა შორის, კონფლიქტის ესკალაცია, რომლის წინააღმდეგაც საქართველო გამოდის, სწორედ სომხეთის ოკუპაციური პოლიტიკის შედეგია... და, ჩვენი აზრით, საქართველოს პრეზიდენტს იმდენად ესკალაციაზე კი არ უნდა ელაპარაკა, რამდენადაც ოკუპაციის შეწყვეტაზე.

ნაკლებად გასაგებია გიორგი მარგველაშვილის განცხადებაც, რომ საქართველო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეაო. აზერბაიჯანიც მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ოკუპანტს მიწების დაბრუნება მშვიდობიანი გზით არ სურს? თვითონ ქართველებიც ხომ მაინცდამაინც არ ესწრაფვიან დიალოგს აფხაზებთან და ოს სეპარატისტებთან? უფრო მეტიც — 2008 წელს საქართველო ამ პრობლემის გადაწყვეტას სამხედრო გზით შეეცადა. რას მიაღწია, ეს უკვე სხვა საკითხია. საქართველოს მხარდაჭერა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხში თანმიმდევრული უნდა იყოს. **აზერბაიჯანი ხომ საქართველოს უაღრესად დაბალი ფასებით, ზოგჯერ კი უფასოდაც კი აწვდის ნავთობს და გაზს საქართველოს! სწორედ აზერბაიჯანმა გადააქცია საქართველო ჩვენი ენერგოშემცველების ევროპაში გატანის ტრანზიტორ ქვეყნად, რის შედეგადაც ჩვენი მეზობლის ბიუჯეტი დიდ შემოსავლებს იღებს. საქართველო ხომ სწორედ აზერბაიჯანის მიერ ინიცირებულ ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობს. უამრავი აზერბაიჯანული კომპანია და ბიზნესმენი დებს ინვესტიციებს ქართულ ეკონომიკაში. სამაგიეროდ კი რას ვღებულობთ? მხოლოდ ცარიელ სიტყვებს მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ და იმას, რომ არ სურთ წუთიერი დუმილით ხოჯალის ტრაგედიის მსხვერპლის ხსოვნისადმი პატივისცემა გამოხატონ...**

მეგობარი გაჭირვებაში იცნობა. სტრატეგიული პარტნიორები ასე არ იქცევიან. საქართველოს ხელმძღვანელებმა ეს ანბანური ჭეშმარიტება უნდა შეიგნონ და შესაბამისი დასკვნები უნდა გააკეთონ.

„novoye-vremya“(აზერბაიჯანი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ფილიმასკა.ჯი“-ს, შპს „რიჩემას“, ნაილი მესხის და სალომე გოგიაშვილი-ნიკოლეიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ფილიმასკა.ჯი“ (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: 02.07.01.379).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „რიჩემა“ (ს/ნ 204552545), თბილისი, ბელინსკის ქ. 39/თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №51, კორპუსი 8, ბინა 42;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე (საკადასტრო კოდი: 56.10.40.027).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაილი მესხი (პ/ნ 60001007248), თბილისი, მცხეთის ქ. №20/მცხეთის I შესახვევი №3, სადარბაზო 1, სართული 3, ბინა №7;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მცხეთის ქ. №20/მცხეთის I შესახვევი №3, სადარბაზო 1, სართული 3, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 01.14.11.039.008.01.007).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

4. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სალომე გოგიაშვილი-ნიკოლეიშვილი (პ/ნ 01008017692), თბილისი, ქობულეთის ქ. №17;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, „კოხტის ძირი“, შენობა №2, კოტეჯი №8 (საკადასტრო კოდი: 64.30.08.097.01.008).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

5. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 1,275,426.27 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ით დასაბეგრი ქონების საკადასტრო კოდი: 02.07.01.379, თანხა შეადგენს 122,362.60 ლარს).

6. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

7. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 20 მარტი, 12:00 საათი;

8. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **მოვალე:** შპს „ფილიმასკა.ჯი“ (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;
შპს „ჯეოპელი“ (ს/ნ 405103150), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23;
ნიკოლოზ ჩიქოვანი (პ/ნ 01009009175), ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №51, კორპუსი 8, ბინა 42;
დავით კურცხალია (პ/ნ 01010006336), ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-2 კვ., კორპუსი 1, ბინა №16;
ვახტანგ ნიკოლეიშვილი (პ/ნ 65002005396), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23.

10. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

11. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 20 მარტის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲡᲐᲪᲘᲕᲘ „ᲥᲘᲜᲫᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲣᲚᲘᲙᲝᲡ“ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ... ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲐᲠᲗ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲡᲣᲠᲗ...

ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ **რუსული გამოცემის „Аргументы и факты“-ს მიმომხილველი გიორგი ზოტოვი საქართველოსთვის დამახასიათებელი ნიშნების დახასიათებისას ხაზს უსვამს ყველაზე მთავარს: „თქვენ თუ იქ ჩახვალთ, იქიდან წამოსვლა აღარ მოგინდებათ“. ავტორი იუმორით აცნობს მკითხველს თავის შთაბეჭდილებებს.**

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ:

„ᲔᲠᲗᲘ **კვირის მოგზაურობის შემდეგ თქვენ ცდილობთ საკუთარი თავი დაარწმუნოთ, რომ მეტი ქართული ღვინის დალევა აღარ შეიძლება. ეს ძალიან რთული ამოცანაა, ზოგჯერ კატასტროფულიც კი. მაგალითად, ღვინის დალევაზე უარს ამბობთ და თავი მტკიცედ გიჭირავთ. არ სვამთ ერთი საათი, ორი საათი (რაც წარმოუდგენელია!). მაგრამ ამ დროს სუფრაზე თქვენდამი პატივისცემის ნიშნად ვიღაც სადღეგრძელოს ამბობს — „დიდ რუს ხალხს გაუმარჯოსო“.** აბა, ასეთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ღვინოს როგორ არ დალევ? შემდეგ თანამდევი სადღეგრძელო, ძალიან სახიფათო — **„დიდ ქართველ ხალხს გაუმარჯოს!“.** იცოდეთ, თუ რუსი ხალხის სადღეგრძელო დალიეთ და ქართველებისას არ სვამთ, საქმე ცუდად წაგივათ... ბოლო სადღეგრძელო (საკონტროლო გასროლა!): **„დიდი ქართველი და დიდი რუსი ხალხის მეგობრობას გაუმარჯოს!“.** ამის შემდეგ უკვე შენ თვითონ გსურს ახალი სადღეგრძელოს თქმა, თუმცა ვის პატივსაცემად, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან დილით უკვე არაფერი გემახსოვრება. შეიძლება, სმარტფონით გადაღებული საკუთარი ფიზიონომია ვერც იცნო.

* * *

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ **ქართველი საუბარში საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას აკრიტიკებს. არ აქვს მნიშვნელობა, წარსულია თუ ამჟამინდელი.** იწყებენ პირველი პრეზიდენტით — ზვიად გამსახურდიათი, შემდეგ გადადიან მეორეზე — ედუარდ შევარდნაძეზე, მესამეზე — მიხეილ სააკაშვილზე და ბოლოს, მეოთხეზე — გიორგი მარგველაშვილზე. ამ უკანასკნელს დიდი საშინელება არაფერი ჩაუდენია, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ზა კამპანიუ“. არადა, თავის დროზე იგივე გამსახურდიამ პრეზიდენტად არჩევის დროს ხმების 87% მიიღო, შევარდნაძემ — 73%, სააკაშვილმა კი 96%-ზე მეტი, ანუ როგორც თურქმენბაშმა ან ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა. თუ შეკითხვას დასვამთ — „აბა, რატომღა აირჩიეთ ასე ერთხმად, თუ ყველას აკრიტიკებთო“, რეაქცია იქნება „ეეე“-ს თქმა და ხელის ჩაქნევა, ან „დავაი, ლუჩშე ვიპიომ“.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **ყოფნისას თქვენ დაინტერესდებით ადგილობრივი ვალუტით — ლარით. ლარი ძველი ტერმინია, ერთდროულად „განძსაც“ ნიშნავს და „ქონებასაც“. „თეთრი“ მონეტა გახლავთ, რომელიც ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოში ბრუნავდა.** სხვათა შორის, საქართველომ თავისი მონეტა რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროსაც შეინარჩუნა — 1835 წლამდე ტიფლისში ვერცხლის აბაზიანი იჭრებოდა. მაშინდელი ხუთი აბაზიანი ერთ რუბლს უდრიდა. თანამედროვე ქართული მონეტები და ბანკნოტები ძალიან ჰგავს ევროს.

* * *

ᲕᲘᲜᲛᲔᲡ **თუ დაუმეგობრდები, თქვენ ქართულ სტუმართმოყვარეობას საკუთარ თავზე გამოსცდით. ცოცხლად დარჩენილები სისხლის გამყინავ ლეგენდებს ყვებიან.** თქვენ დროს დღედაღამ ქეიფში გაატარებთ, რესტორნებში კაპიკს არ დაგახარჯვინებენ. რეგიონებშიც კი, სადაც ხალხი შედარებით ღარიბად ცხოვრობს, მასპინძლები ვალს აიღებენ და სტუმარს გულუხვად დაგხვდებიან — მეფურ სუფრას გაგიშლიან. ერთი მხრივ — გერიდება, მეორე მხრივ კი — უნდა დაჯდე, მიირთვა, რასაც გთავაზობენ. სხვაგვარად მასპინძელს საშინლად ეწყინება — ეგონება, რომ სტუმარს შესაფერისი პატივი არ გცა, ადგება და ახალ სუფრას გაშლის. აი, ამ შემთხვევაში კი ვერანაირად ვერ გადარჩები...

* * *

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ შთაბეჭდილებები ეხება აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების დონეს (მცირე ოდენობის პენსიებს), კომუნალური მომსახურების მომატებულ ტარიფებს, ქართულ კერძებს, ქართულ ღვინოებს, ქართულ ხალხურ სიმღერებს, თბილისის აბანოებს და ა.შ.

„მოგზაურობის ბოლოს თქვენ არ გინდათ იმის აღიარება, რომ საქართველოდან უკან დაბრუნება საშინლად არ გსურთ“, — ნათქვამია სტატიის დასასრულს.

„AIF.RU“ (რუსეთი)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2018 წლის 21 მარტს, 12 საათზე, ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. 2017 წლის ბალანსის შედეგების განხილვა. (მომხს. ნ. გუმბერიძე)
2. მოგების განაწილების დამტკიცება. (მომხს. ც. მიქაძე)
3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანა:
4. სხვადასხვა.

ს.ს. „ოპიზარი“-ს აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2018 წლის 5 თებერვალი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს დირექციაში.

ს.ს. „ᲝᲠᲘᲖᲐᲠᲘ“-Ს ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲓᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲓ ᲗᲐᲚᲦᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲝᲘᲢᲔᲠᲡᲘ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲛᲘᲗ ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ.ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲓᲐ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲪᲘᲠᲔ ᲝᲠ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐᲗ ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲜ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲛ ᲩᲔᲜ ᲘᲠ-Ს ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ, ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲝᲜ-ᲙᲝᲜᲒᲨᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

GOOGLE-ᲛᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲘᲐᲠᲐᲦᲘ“ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ „Google Shopping“-ᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲘᲗ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪᲐᲐ „Sex Pistols“ ᲓᲐ „Guns N' Roses“.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ, „ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲰᲓᲐᲠᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲩᲐᲕᲐᲡᲬᲠᲔᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ“ — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ „Google“-ᲨᲘ.

◎ სეზონის წინ

განახლების ბუმი



ქობულეთში, რევაზ ჩელებაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობითა და დაფინანსებით იცვლება გაზონი – ხელოვნურ ხალიჩას, რომლის უხარისხობაზე დიდი ხანია საუბრობენ, ბუნებრივი მინდვრის საფარი ჩაანაცვლებს, ამის შემდეგ კი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ეტაპობრივად განხორციელდება სტადიონის რეაბილიტაცია.

„შუქურას“ პრესსამსახურის ცნობით, სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე გუნდი საშინაო მატჩებს ლანჩხუთში, ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე გამართავს.

როგორც ცნობილია, ამ დროისთვის რამდენიმე სარბიელზე მიმდინარეობს ანალოგიური სამუშაოები. ქობულეთის გარდა, რეკონსტრუქცია უტარდება ბოლნისის, წყალტუბოსა და სამტრედიის სტადიონებს. ბუნებრივი საფარის დაგება ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით ხდება, ხოლო სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ. აღნიშნულ სტადიონებზე სამუშაოების დასრულება ზაფხულისთვის იგეგმება. სფფ-ის მოთხოვნით, ეროვნული ლიგისა და ლიგა 2-ის გუნდებმა მატჩები ბუნებრივსაფარიან მოედნებზე უნდა ჩაატარონ.

გიორგი ზოთაძე

◎ ფორმულა-1

„ტორო როსო“ - „ჰონდას“ ძრავით

„ტორო როსო“ არაა ტოპ გუნდი, მაგრამ მისი ახალი მანქანის წარდგენა მაინც საინტერესო იყო. უფრო სწორად, მანქანის პირველი ტესტები. STR13-ის პრეზენტაცია სწორედ წინასასეზონო ტესტების დაწყებას დაემთხვა და საქმიან ვითარებაში, ბარსელონას მონტმელოს ტრეკზე გაიმართა.

„მეორე იტალიური გუნდი“ ახალ სეზონში „ჰონდას“ ძრავებით იასპარეზებს, რომლებმაც წინა სამ სეზონში „მაკლარენს“ სისხლი გაუშრო. იაპონური კომპანია „ტორო როსოსთან“ ერთად ახალ ცხოვრებას დაიწყებს და იმედოვნებს, რომ ამჯერად მაინც შეძლებს იმ პოტენციალის გამოყენებას, რომელმაც არაერთი ტიტული მოაგებინა.

„ტორო როსო“ კი იმედოვნებს, რომ „ჰონდას“ პროგრესთან ერთად თავს დააღწევს პელოტონის კუდს. პრინციპში, გუნდის (რომელსაც ადრე მინარდი ერქვა) ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ძრავების მწარმოებლისთვის ის ერთადერთი პარტნიორია. თუმცა, ეჭვის შეტანაც არ ღირს იმაში, რომ თუ „ჰონდა“ მოწოდების სიმაღლეზე იქნება, მისი მომხმარებელი „რედ ბულიც“ გახდება და „ტორო როსოც“ ისევ „მეორეს“ როლს დაუბრუნდება.

„ტორო როსოს“ პილოტები ფრანგი პიერ გასლი და ახალზელანდიელი ბრენდონ ჰარტლი არიან, რომლებმაც გასულ სეზონში რუსი დანიილ კვიატი და ესპანელი კარლოს საინს უმცროსი შეცვალეს. გასლის 2016 წელს სერია GP2-ის ბოლო ტიტული (ბოლო იმიტომ, რომ ამჟამად მას ფორმულა 2 ჰქვია) აქვს მოპოვებული, ჰარტლიმ კი „პორშეს“ ეკიპაჟთან ერთად ორჯერ მოიგო ლე მანის 24-საათიანი რბოლა.

ბეჟან დოლიძე

◎ ლაურეატები

აბა, ვინ?

როჯერ ფედერერმა პრესტიჟული ჯილდო Laureus-ი (წლის საუკეთესო სპორტსმენი) მოიპოვა. ის ამ ნომინაციაში გამარჯვებული მეექვსედ გახდა. ასევე, შვეიცარიელმა მიიღო წლის დაბრუნების ჯილდოც.

ქალთა შორის აღნიშნული ტიტული სერენა უილიამსმა დაისაკუთრა. მან გასულ წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და ორსულობის გამო სხვა ტურნირზე აღარც უთამაშია.

მანუჩარ გიორგაძე



◎ კალათბურთი

ნდობას გვიცხადებენ

ევროტურნირებში პლეი-ოფის დრო დადგა და ფიბა-მ მსაჯებისა და კომისრების ახალი, მარტის თვის პირველი ნახევრის ნომინაციები შეადგინა. საერთაშორისო მატჩებზე დაინიშნენ ფიბა-ს ლიცენზიის მქონე მსაჯი და კომისარი – მაკა კუპატაძე და მერაბ რატიშვილი, რომლებიც ქვემოთ წარმოდგენილ მატჩებს მოემსახურებიან:

მაკა კუპატაძე (მსაჯი).

8 მარტი. ქალთა ევროპის თასის მეოთხედფინალი. ანტაკია (თურქეთი): ჰატაი (თურქეთი) – ვილნევ დასკი (საფრანგეთი).

მერაბ რატიშვილი (კომისარი).

1 მარტი. ქალთა ევროპის თასის მეოთხედფინალი. ორენბურგი (რუსეთი): ნადეჟდა (ორენბურგი, რუსეთი) – პერფიუმერიას ავენიდა (სალამანკა, ესპანეთი).

14 მარტი. ფიბა ევროპის თასის მერვედფინალი. ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი): ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი) – კერავნოსი (კვიპროსი).

ვიტალი ჯაფარიძე



◎ ვალმოხდილი

პროკეტი „ოლ ბლექსიდან“ წავიდა

ვეტერანმა ახალზელანდიელმა ბურჯმა უაიტ კროკეტმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. აღნიშნულ ინფორმაციას „ოლ ბლექსის“ ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

35 წლის მორაგბეს „კივების“ რიგებში დებიუტი 2009 წელს ჰქონდა. მან ამ დროის განმავლობაში 71 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და 2 ლელოს გატანა მოახერხა. უაიტმა „ოლ ბლექსის“ მაისურით უკანასკნელად 2017 წლის ნოემბრის ტესტებზე, უელსთან მოგებულ მატჩში ითამაშა.

ზემოხსენებული წყაროს ცნობით, კროკეტი უკანასკნელ სეზონს ატარებს სუპერრაგბიში, სადაც ჩატარებული მატჩების მხრივ რეკორდსმენია – 188. ის მოქმედი ჩემპიონის „კრუზეიდერსის“ ღირსებას 2006 წლიდან იცავს.

კროკეტი ახალი ზელანდიის ნაკრებთან ერთად 2015 წლის მსოფლიო თასის მფლობელი გახდა, ხოლო „კრუზეიდერსთან“ ერთად ზე რაგბი 3-ჯერ მოიგო.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ფერი ფერსა...



იტალიაში პოპულარული მოდელი ელსავეტა გრეგორაცი იმდენჯერაა გათხოვილ-გამოთხოვილი, მისი ცხოვრების უსტარის შედგენას ისტორიკოსი ჯუანშერიც კი ვერ შეძლებდა, თუმცა, ეს ამ ქალს ხელს არ უშლის იმაში, რომ მუდმივად მაღალ საზოგადოებაში იტრიალოს და თავისი დიადი ბარძაყნი ამზეუროს.

ელსავეტას ამჟამინდელი ქმარი ფლავიო ბრიატორე ევროპის სპორტულ წრეებში ნამეტნავად გაქნილ და გაქექილ ვინმედ ითვლებოდა, თუმცა, ახლა აფერისტის იარლიყი აქვს მირტყმული და მასთან საქმის დაჭერას ბევრი ერიდება. ფლავიო თავის დროზე „ფორმულა-1“-ის წილებსა და ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „კრისტალ პალასსაც“ კი ფლობდა.

ელსავეტაც არ გახლავთ სპორტსგარეშე დარჩენილი ადამიანი. იგი საფეხბურთო კლუბ „მილანის“ ქომაგია და როდესაც ამ გუნდს ავადსახსენებელი სილვიო ბერლუსკონი ფლობდა, გრეგორაცის მიღებებსა და ბანკეტებზეც კი იწვევდნენ. მილანური კლუბის ახალმა, ჩინელმა მფლობელებმა, როგორც ჩანს, ჯერ არ იციან ამ ქალის შესახებ, თორემ არც ისინი დააკლებდნენ თვალის აყოლებ-ჩამოყოლებას.

როსტომ რაჭველიშვილი

ჯანმრთელობის სამზარეულო

მცენარეული ზეთების „შესანიშნავი შვიდეული“

ექსპერტებმა მცენარეული ზეთების ნუსხა შეადგინეს, რომლებიც ყველაზე მეტად სასარგებლოა ადამიანის ორგანოებისა და სისტემების ჯანმრთელობისთვის.

თავის ტვინის სიჯანსაღისა და აქტივობის შესანარჩუნებლად საჭიროა ყოველდღე ორი სუფრის კოვზი ზეთის მიღება – ეს დასკვნა ნორვეგიის ტვინის ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოიტანეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს **ვიტამინ E**-ს, რომელიც სისხლძარღვებში, მათ შორის ტვინის მკვებავ წვრილ კაპილარებში „ცუდი“ ქოლესტერინის ბალთების წარმოშობას ებრძვის, ასევე **ოლეინის მჟავას**, რომელიც უჯრედებში მემბრანების მშენებლობაში მონაწილეობს. იგი ნერვული ქსოვილის უჯრედების განახლებასა და დაზიანებულის აღდგენას უწყობს ხელს, ანუ ჩვენი ორგანიზმის „პატარა რუხი უჯრედების“ – ტვინის ნეირონების გაახალგაზრდავებაზეა პასუხისმგებელი.

გამოკვლევის ავტორის, **ოსლოელი ფიზიოლოგის ბიერნ ჰაგესენის** აზრით, **„მაღალი ხარისხის მცენარეული ზეთები ჩვენთვის ყოველდღიურადაა საჭირო, ულუფა კი ორი სუფრის კოვზია“.**

გარდა ამისა, მცენარეული ზეთები მდიდარია ცხიმგამხსნელი A და E ვიტამინებით, რომელთაგან პირველი დიდად სასარგებლოა კანისთვის, მხედველობისა და იმუნიტეტისთვის, მეორე კი ინფექციებისგან დამცველი ანტიოქსიდანტია.

ექსპერტები მცენარეული ზეთების შვიდ ნაირსახეობას გამოყოფენ, რომლებიც სხვებზე უკეთ უწყობენ ხელს ადამიანის ამა თუ იმ ორგანოსა და სისტემის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

• **ზეითუნის ზეთი.** სწორედ მასშია ყველაზე მეტი ოლეინის მჟავა. გახურებისას ზეითუნის ზეთი თითქმის არ წარმოქმნის კანცეროგენებს. შეძენისას ყურადღება მიაქციეთ მის მჟავიანობას, რომელიც ეტიკეტზე უნდა იყოს მინიშნებული: რაც უფრო დაბალია ის (0,8 პრცენტამდე), მით უფრო მაღალი ხარისხისაა ზეთი.

• **მზესუმზირის ზეთი.** ეს ზეთი ლიცეტინის საუკეთესო წყაროა, რომელიც ხელს უწყობს გონების აქტივობასა და სისაღეს. ამასთან, ლიცეტინი ორგანიზმს ანემიისა და სტრესის დროს ძალების აღდგენაში ეხმარება.

• **სიმინდის ზეთი.** იგი საუცხოოდ აწესრიგებს ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს ხელს უწყობს „ცუდი“ მყარი ცხიმების გახლეჩას.

• **მდოგვის ზეთი.** ბაქტერიოციდული თვისებების წყალობით, იგი კარგად ინახავს შეკაზმულ სურსათს, ასევე შველის იარებისა და დამწვრობების მოშუშებას.

• **სელის ზეთი.** ესაა ყველაზე დაბალკალორიული მცენარეული ზეთი, რომელსაც გახდომის დიეტებში იყენებენ. იგი ხელს უწყობს ღვიძლიდან ტოქსინების გამოყვანას, ომეგა-3-ის შემცველობით კი თევზის ქონსაც სჯობს. სელის თესლი ანტიოქსიდანტ ტიოპროლინს შეიცავს, რომელიც ნიტრატებს ანეიტრალებს. ამდენად, თუკი თქვენ დარწმუნებული არა ხართ, ვთქვათ, კიტრსა და პომიდორში, მათ სალათას ერთი კოვზი სელის ზეთი მოასხით.

• **კუნჯუთის ზეთი.** კალციუმის შემცველობით ის მცენარეულ ზეთებში ნამდვილი „ჩემპიონია“. მას კიდევ „ქალურ ზეთსაც“ უწოდებენ, ვინაიდან დიდად სასარგებლოა ორსულებისა და ჰორმონალური „შეჯანჯღარების“ დროს. კუნჯუთი ასევე აძლიერებს სისხლის შედედების უნარს, ამიტომაც გულთან დაკავშირებით პრობლემების მქონე პირებმა, ანდა ვარიკოზით დაავადებულებმა ის დიდი სიფრთხილით უნდა მოიხმარონ.

• **გოგრის ზეთი.** იგი ცინკის ნამდვილი „საწყობია“, რადგან ეს ელემენტი მასში უფრო მეტია, ვიდრე ზღვის პროდუქტებში. ცინკი კი მამაკაცურ ძალას მატებს, რაც ტესტოსტერონის გამომუშავების ხელშეწყობით გამოიხატება. მისი შერევა ზეითუნის ზეთთანაც შეიძლება და ამ ნაზავით სალათების შეკაზმვა.

დალი ხუნდაძე

სანთელი

გივი აბზიანიძე, ნონა ანდღულაძე-მახარაშვილისა, გივი ანჩაბაძე, ვალერი ასათიანი, თამაზ გაბუნია, თამაზ გაგუა, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ნელი გურგენიძე, მანანა, მარინა ზოდელავები, თემურ თოფურიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ზურაბ ლომიძე, ზაურ მესხიშვილი, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ვაჟა სულაბერიძე, ნოდარ ტყეშელაშვილი, ნუგზარ ფიფია, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ზაურ ჩიტიძე, გიორგი ცინცაძე, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის, კოლორიტული პიროვნების, გულთბილი მეგობრის

ზაალ გენძეხაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ახლობლებს.

და ფოთოლა კალანდაძე, სიძე თენგიზ კალანდაძე, დისშვილები მარინა, გია კალანდაძეები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

ნანული ბოხუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 მარტს, 14 სთ-ზე, გამოსვენება ირ. აბაშიძის 39.

დარეჯან ელიაძე, მევლუდ დუნდუა, ედიშერ დუნდუა, გია ჯღარკავა ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეებს დისა და ცოლისდის

ნანული ბოხუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები მეგობრული გრძნობითა და გულწრფელი პატივისცემით უსამძიმრებენ ქალბატონ ფოთოლა და ბატონ თენგიზ კალანდაძეებს დისა და ცოლისდის

ნანული ბოხუას

გარდაცვალების გამო.

დემურ გადელია, ვახტანგ ყოლბაია, ვიტალი ხაზარაძე, ბესო კილასონია, პეტრე ბერაია, გურამ გუნავა, ელიზბარ ლომინაძე, თემურ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე, ჯამბულ წულაია, საველ მარსაგიშვილი, ნოდარ ზაზაძე მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების თენგიზ კალანდაძის მეუღლის, ქალბატონ ფოთოლას დის

ნანული ბოხუას

გარდაცვალების გამო, სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ბათუმის ბულვართან 54-სართულიანი კომპლექსი აშენდება

კომპანია „ალიანსი ფრივილიჯი“ ბათუმში, ბულვარის მიმდებარედ, დელფინარიუმის წინ ახალ სასტუმროს ააშენებს. შენობა 54-სართულიანი იქნება, რომლის პირველ 12 სართულზე სასტუმრო „მერიოტი“, დანარჩენ სართულებზე კი ექსკლუზიური აპარტამენტები განთავსდება.

მულტიფუნქციური კომპლექსი „ალიანს ფრივილიჯი“ „ალიანს ჯგუფისთვის“ დამახასიათებელი ექსკლუზიური არქიტექტურით იქნება გამორჩეული.

„ალიანს ფრივილიჯის“ მშენებლობა ბათუმში 2020 წელს უნდა დასრულდეს. აკაკი სონგულიას ინფორმაციით, 160-ნომრიანი სასტუმრო „მერიოტი“ კომპლექსში 2021 წელს გაიხსნება და მისი მმართველი კომპანია ამერიკული „მაქინერი ჰოსფითალითი ინთერნეშენელი“ იქნება. „ალიანს ჯგუფი“ პროექტში 80 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს.



საჯარო რეესტრის მიხედვით, ტერიტორია, სადაც ახალი კომპლექსის მშენებლობაა დაგეგმილი, დღეს კომპანია „ალიანსი ფრივილიჯის“ საკუთრებაშია. ამ ტერიტორიაზე კომპანია „ეიბიეს ფრივილიჯ ქლაბ რიზორთსი“ 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობასა და 50-მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავდა. ამ კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მესაკუთრე იყო აკაკი სონგულია.

მოგვიანებით კომპანიის საფირმო სახელწოდებით შეიცვალა – „ალიანსი ფრივილიჯით“. რეესტრის ბოლო ამონაწერის მიხედვით, ამ კომპანიაში აკაკი სონგულია უკვე წილის 13%-ს ფლობს. როგორც აღვნიშნეთ, ის ამ კომპანიის დირექტორიცაა. კომპანიის დანარჩენ წილებს ფლობენ: თემურ ბიწაძე, ავთანდილ გორგილაძე და ბესიკ ჟღენტი.

პენტაგონი რამდენიმე წელში კოსმოსიდან დარტყმისთვის ემზადება

ამერიკელები აპირებენ უპირატესობა მოიპოვონ ახალ სადავო ტერიტორიაზე. აშშ-ის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მოქმედებებს კოსმოსურ სივრცეში სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში დაიწყებენ. ასეთი განცხადება ამერიკული საბრძოლო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსმა, დევიდ გოლდფეინმა ფლორიდაში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

„მიმაჩნია, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, ჩვენ შევძლებთ იერიშის მიტანას უკვე კოსმოსიდან და რომ ჩვენ ვართ ის მებრძოლები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ საერთო საბრძოლო მოქმედებებს ამ ახალ სადავო ტერიტორიაზე. ეს არის ის, რასაც ქვეყანა მოითხოვს“, – განაცხადა გოლდფეინმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ეხლა აშშ-სთვის აუცილებელია, დაიკავოს ლიდერის პოზიცია კოსმოსურ სივრცეში და გააძლიეროს ამერიკული არმია.

უკვე 2018 წელს პენტაგონი გამოყოფს პროგრამისთვის 7,7 მილიარდ დოლარს, ხოლო მომავალი წლიდან თანხას 8,5 მილიარდ დოლარამდე გაზრდის.

აღსანიშნავია, რომ კოსმოსის მილიტარიზაცია 1967 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად აკრძალულია. ინფორმაციას ამის შესახებ „Space News“- ი ავრცელებს.

ევროპის ყველაზე პერსპექტიული ქალაქები

რეიტინგში, რომელიც კომპანია Financial Times FDi Intelligence-**მა შეადგინა (შედის** Financial Times Group-**ში), ევროპის „მომავლის ქალაქებს“ შორის პირველი ადგილზე ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონია.**

სიის შედგენისას კომპანიამ 100-ზე მეტი პარამეტრი გაითვალისწინა – ისეთები, როგორიცაა მშპ, სიცოცხლის ხანგძლივობა, უმაღლესი განათლების მქონე მაცხოვრებლების რაოდენობა, საგზაო და სარკინიგზო ინფრასტუქტურის განვითარება, საოფისე ფართის ქირის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის განვითარების დონე და ა.შ.

ევროპის ყველაზე პერსპექტიული ქალაქების ხუთეულში ასევე შევიდნენ დუბლინი, პარიზი, ამსტერდამი და მიუნხენი.

აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე პერსპექტიული ქალაქების რეიტინგის ლიდერია რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი, რომელიც ასევე იკავებს მე-6 ადგილს ძირითად სიაში.

აღმოსავლეთ ევროპის ტოპ-ხუთეულში ასევე შევიდნენ ვარშავა, პრაღა, ბუქარესტი და ბრატისლავა.

მოსკოვმა მაღალი შეფასებები მიიღო რამდენიმე კრიტერიუმში – ისეთებში, როგორიცაა ცხოვრების ხარისხი (მე-2 ადგილი), ბიზნესის მიმართ კეთილგანწყობა (5) და ეკონომიკური პოტენციალი (6).

რუსეთის დედაქალაქის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ეფრემოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი კიდევ ერთხელ ადასტურებს ინვესტიციებისთვის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქის სტატუსს.

„მოსკოვში ინვესტორებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიზნესპროექტების დაწყების და განვითარების მარტივი და გასაგები წესებით, საგადასახადო და სხვა ტიპის შეღავათებით, გასაღების დიდი და მრავალფეროვანი ბაზრით, და მუდმივად ზრდადი სამომხმარებლო მოთხოვნით“, – განაცხადა მან.

ბონდის რეჟისორი ლუის გილბერტი გარდაიცვალა

ბრიტანელი კინორეჟისორი და სცენარისტი ლუის გილბერტი, რომელსაც გადაღებული აქვს აგენტი ჯეიმს ბონდის სამი ფილმი, 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია Twitter-**ის ოფიციალური საიტიზე გავრცელდა. ლუის გილბერტი 1920 წელს დაიბადა. მას ბონდიანას სამი ფილმი აქვს გადაღებული: „შენ მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ“ (1967); „აგენტი, რომელსაც ვუყვარდი“ (1977) და „მთვარის მრბოლელი“ (1979 წელი).**

კინორეჟისორს ასევე შექმნილი აქვს ისეთი ფილმები როგორიცაა „მოჩვენებების სახლი“ და „ელფი“. ამ უკანასკნელმა ფილმმა მიიღო ხუთი ნომინაცია „ოსკარის“ დაჯილდოებაზე, ასევე სპეციალური ჯილდოები კანის კინოფესტივალზე და „ოქროს გლობუსზე“.

ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს მისამართი ბორის ნემცოვის ქუჩა იქნება

ვაშინგტონში ქუჩას, სადაც რუსეთის საელჩო მდებარეობს, ბორის ნემცოვის სახელი ოფიციალურად მიენიჭა. ცერემონია სიმბოლურად რუსი ოპოზიციონერის მკვლელობიდან სამი წლისთავზე ჩატარდა. ღონისძიებას ამერიკელ კანონმდებლებთან ერთად რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენლები და აქტივისტები ესწრებოდნენ. ბორის ნემცოვი 3 წლის წინათ მოსკოვში, კრემლის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ხიდზე მოკლეს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

შეფი

პატარა ვასიკო მამას მიადგა:

– მამიკო, რა არის შეფი?

მამა ცდილობს გასაგებად აუხსნას:

– შეფი ის ადამიანია, რომელიც კანტორაში ყოველთვის გვიან მიდის, თუკი შენ ადრე მიხვედი, მაგრამ ადრე მიდის მაშინ, თუკი შენ სამუშაოზე დააგვიანე.

მოპარული საათი

ნიუ-იორკის კომისარიატში აღელვებული კაცი შერბის.

– ძალიან გთხოვთ, მომისმინოთ, გუშინ გაცნობეთ, საათი მომპარეს-მეთქი, დღეს კი საბაზანოში ვიპოვე.

– ძალიან ვწუხვარ, – მიუგო მორიგემ, – მაგრამ ქურდი უკვე დავიჭირეთ.

განცხადება

ბრაუნმა გადაწყვიტა თავისი ფირმის სარეკლამო განცხადების გამოქვეყნება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დამეხმარება? – ჰკითხა მან სარეკლამო სააგენტოს თანამშრომელს.

– უეჭველად დაგეხმარებათ, – დაბეჯითებით უპასუხა თანამშრომელმა. – ვერ წარმოიდგენთ, რა ყურადღებით კითხულობენ განცხადებებს. წინა კვირას მისტერ სმიტმა განცხადება გამოაქვეყნა, რომ თავისი საიუველირო მაღაზიისთვის ეძებდა დარაჯს. მერედა, რა მოხდა, იცი? იმავე ღამეს მაღაზია გაუძარცვეს!

კომივოიაჟერი

– **იყიდეთ** ჰალსტუხი.

– არ მინდა.

– საკინძეები?

– არც საკინძეები.

– აჭიმები?

– მისმინე, თუ ახლავე არ მოუსვამ აქედან, არ ვიცი, რას გიზამ, სიტყვები აღარ მყოფნის!..

– მაშინ, სიტყვისკონას შემოგთავაზებთ 10-ათასსიტყვიანს! გარწმუნებთ, უცილობლად იპოვით შიგ იმ სიტყვებს, რომლებიც აღარ გყოფნით...

დღეგრძელობაზე

ჟურნალისტი ესაუბრება ასი წლის ბერიკაცს:

– რას მიაწერთ თქვენს დღეგრძელობას!

ბერიკაცმა ჩიბუხი გააბოლა, ნელა გამოუშვა ბოლი და თქვა:

– ჩემს დროს ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა მავნე თვისებები აქვს ნიკოტინს.

ძვირფასი სიტყვები

მამას ყურში მოხვდა, რომ შვილი საუბარში ხშირად ამბობდა – „ეშმაკმა უწყის“. შვილი თავისთან იხმო და უთხრა:

– ჩემო ბიჭო, მოდი, მოვილაპარაკოთ, თუ მაგ სიტყვას გადაეჩვევი, ზლოტს მოგცემ.

შვილმა ფეხი მოინაცვლა:

– მამიკო, მე ისეთი სიტყვებიც ვიცი, ათი ზლოტი რომ ღირს. – მიუგო მან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4795; ევრო - 3.0555;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4621;
100 რუბლი - 4.4378; თურქული ლირა - 0.6552;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4600;
1000 სომხური დრამი - 5.1474.

ამინდი 1 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +10
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +12
თბილისი:	ღამე +4,	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge